- დ. სარკე
- ე. სურათი

#### დაიმახსოვრეთ!

ოთახში დგას ....

მაგიდაზე დგას ...

კედელზე კიდია ...

### 4. ისაუბრეთ სურათის შესახებ.

- ა. რამდენი ოთახია სახლში? დაასახელეთ, ეს ოთახები.
- ბ. რა არის თითოეულ ოთახში? მიუთითეთ, რა ფერია და როგორია (მაღალი, დაბალი, დიდი, პატარა, გრძელი, ლამაზი)?
- გ. რომელ ოთახში რა კიდია კედელზე?

## 1. აღწერეთ სურათები.

- დაასახელე ოთახები. მიუთითე, რა დგას ოთახში, რა ფერისაა და როგორია?
- ვინ არიან ოთახში და რას აკეთებენ? აღწერე ისინი გარეგნულად.



## 2. წაიკითხეთ და დააკავშირეთ სურათებთან. უპასუხეთ შეკითხვებს.

დედა ამზადებს საჭმელს. ბაბუა კითხულობს გაზეთს. ბებია და მამა ტელევიზორს უყურებენ. ბიჭი იძინებს. გოგონა იბანს ხელებს.

- სად ამზადებს დედა საჭმელს?
- რომელ ოთახში კითხულობს ბაბუა? რას კითხულობს ის?
- რომელ ოთახში დგას ტელევიზორი? კომპიუტერი?
- რომელ ოთახში არიან ბებია და ბაბუა? რას აკეთებენ ისინი იმ ოთახში?
- რას აკეთებს ბიჭი? რომელ ოთახში იძინებს ის?
- სად არის გოგონა? რას აკეთებს ის იქ?

### 3. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები სურათების გარშემო და უპასუხეთ.



დააკვირდით!

ტახტი – ტახტები  
მაგიდა – მაგიდები  
სარკე – სარკეები  
თარო – თაროები

კედელი – კედლები  
მაცივარი – მაცივრები  
სავარძელი – სავარძლები  
ფანჯარა – ფანჯრები

- რა კიდია ოთახების კედლებზე?
- ?
- რა ფერისაა სავარძლები?
- ?
- როგორი ფარდები კიდია ფანჯრებზე?
- ?
- როგორი მაგიდები დგას ოთახებში?
- ?

### 4. გაასწორეთ წინადადებები წინა გვერდზე მოცემული სურათების მიხედვით.

- ა. დედა იბანს ხელებს და ბებია ამზადებს საჭმელს.
- ბ. მამა კითხულობს გაზეთს და ბაბუა უყურებს ტელევიზორს.
- გ. ბიჭი იბანს ხელებს და გოგონა იძინებს.
- დ. დედა და ბებია ამზადებენ საჭმელს და ბიჭები იბანენ ხელებს.
- ე. მამა და ბაბუა კითხულობენ გაზეთებს და ბებია და დედა იძინებენ.

### 5. ისაუბრეთ თქვენი საცხოვრებელი სახლების შესახებ.

რამდენოთახიანია თქვენი სახლი? დაასახელეთ ოთახები. მიუთითეთ, რა დგას ოთახში, რა კიდია კედელზე, ფანჯრებზე. აღწერეთ, როგორია და რა ფერისაა ისინი. შეადარეთ თქვენი ოთახები სურათებზე მოცემულ ოთახებს.

1. აღწერეთ სურათები ნიმუშის მიხედვით.

„ფიფქია და შვილი ჯუჯა“



პირველ სურათზე ხატია სასადილო ოთახი. ოთახი არის დიდი. ოთახს აქვს ერთი დიდი ფანჯარა. ფანჯარაზე მოკლე მწვანე ფარდები კიდია...

„გოგონა და სამი ღამი“



2. შეადარეთ სურათები ერთმანეთს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.

**გამოიყენეთ!**

პირველ სურათზე არის შვიდი სკამი, მეორე სურათზე სამი სკამია. მეორე სურათზე არის ქოთანნი, პირველ სურათზე არ არის. ორივე სურათზე მაგიდები და სკამები არის ხის.

### 3. დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

ფიფქიას აზრით, ეს სახლი არის:

1. დათვების
2. ბავშვების
3. ჯუჯების



### Track 11 4. მოისმინეთ და შეამოწმეთ.

### 5. დაარქვით ჯუჯებს სახელები და ისაუბრეთ მათ შესახებ.

რა ჰქვიათ?  
სად ცხოვრობენ?  
რა აქვთ სახლში?  
რამდენი და რა ფერის?



### 6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები ჯუჯების შესახებ და უპასუხეთ.

ნიმუში:

- რა ჰქვია ახალგაზრდა ჯუჯას? ყველაზე მსუქანს? მოკლენვერიანს?...
- როგორი წვერი აქვს წითელქუდიან ჯუჯას?
- ვის არ აქვს წვერი?
- რა ფერია მოკლენვერიანის ქუდი?

# ითაგაზეთ და ზაამოწზეთ თქვენი სოღნა.

აღწერე შენი სახლის  
ოთახები.

6

- რა დგას ოთახებში?
- რა კიღია კედლებსა და ფანჯრებზე?
- მიუთითე ფერები და თქვი, როგორია.

აღწერე სახლი.

7

- როგორია?
- რამდენსართულიანია?
- რა აქვს / არ აქვს?
- საღ რა არის?
- ვინ საღ ცხოვრობს?

ისაუბრე  
აღმნიანების შესახებ.

8

- დაარქვი სახელები
- აღწერე ისინი

გამოიყენე:

- ... აქვს / ჰყავს ...
- ... არის ...-იანი

გაღაიყვანე!

5

ღიღი აივანი – ღიღაივნიანი

- ლურჯი ჩანთა
- პატარა ბავშვი
- მრგვალი სათვალე
- მოკლე წვერი
- ორი ეზო
- რვა აივანი


ჩამოთვალე, რა ავეჯი  
დგას:

4

- მისაღებში
- საძინებელში
- სამზარეულოში
- სააბაზანოში

მიუთითე, რა კიღია:

- კედლებსა და ფანჯრებზე
- რა ფერია და როგორია?



დაასახელე  
საპირისპირო  
სიტყვები.

3

- ახალგაზრდა – ?
- გამხდარი – ?
- გრძელთმიანი – ?
- თუთრთმიანი – ?
- ღიღეზოიანი – ?

გაითვალე!

2

პირველი, .....



ისაუბრე შენი  
სახლის შესახებ.

1

- როგორია?
- რამდენსართულიანია?
- რა აქვს / არ აქვს?
- რამდენოთახიანია
- დაასახელე ოთახები

ნაკითხეთ და მიუთითეთ, რა შეგიძლიათ.

Okuduğumu  
anlıyorum.

Diyalogu  
anlayabiliyorum.

Anlamaktan ziyade  
daha iyi  
konuşuyorum.

Bu sözleri  
hatırlamakta  
zorluk  
çekmiyorum.

Bu konular  
hakkında  
konuştuklarını  
anlıyorum.

რა გვიშლის ხელს? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

İmkânlarımı gerektiği gibi kullanmıyorum.	
Zamanımı doğru biçimde kullanamıyorum.	
Eğlenmeye çok zaman ayırıyorum.	
Hata yapmaktan korktuğum için derse aktif biçimde katılmıyorum.	
Anlamadığımda kimseden yardım istemiyorum.	
Sözlük, anket, şema, yapısal model vs. ilave kaynakları yapmıyorum.	
Kendi yaptığım kaynakları kullanmıyorum.	
Geçmiş konuları düzenli bir biçimde tekrarlamıyorum.	
Zor ve anlamadığım materyal üzerine kötü çalışıyorum ya da çalışmıyorum.	



# 4

- ხვალ რა  
გაკვეთილები  
გვაქვს?


რომელი საათია?





# საკლასო ოთახი. საკლასო ნივთები

1. ნაიკითხეთ დიალოგები და მიუთითეთ, რომელია ნინო და რომელი – რეზო მასწავლებელი.



2. უპასუხე შეკითხვებს.

- რამდენსართულიანია სკოლა?
- ვინ არის უღელაშიანი?
- რისი მასწავლებელია რეზო?
- მერამდენე გაკვეთილი აქვთ მათემატიკა?
- ვის უკეთია სათვალე?

რის?

ვინ?

ქართულის მასწავლებელი  
მათემატიკის მასწავლებელი

1. ნინო მასწავლებელს 2. რეზო მასწავლებელს 3. ორივეს

დააკვირდით!

ის არის ნინო მასწავლებელი. სალამი, ნინო მასწავლებელო!  
ისინი არიან ბავშვები. დილა მშვიდობისა, ბავშვებო!

### 1. უპასუხეთ შეკითხვებს.

- რამდენსართულიანია შენი სკოლა?
- გყავს შენ ულვაშიანი მასწავლებელი?
- რა პქვია მას?
- რისი მასწავლებელია ის?
- რა პქვია შენს ქართულის მასწავლებელს?
- სად ცხოვრობს და სადაურია ის?

### 2. ნაიკითხეთ ლექსი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.



ბიჭი ესალმება.

- მზეო, მზეო, ცხრათვალა,  
ვის უცინი, ვისა?  
- შენ გიცინი, პატარა,  
დილა \_\_\_\_\_!

- ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,  
ვის უგალობ, ვისა?  
- შენ გიგალობ, პატარა,  
\_\_\_\_\_ მშვიდობისა!

მეც ახლავე ავდგები,  
მეც დავიბან პირსა,  
ყველას მივესალმები -  
\_\_\_\_\_!



მზე იცინის.



ჩიტი გალობს.

### 3. შეადარეთ წინადადებები ერთმანეთს.

- ა. ცხრათვალა მზე იცინის.
- ბ. - ვის უცინი, ცხრათვალა მზეო?
- ა. ნაცარა ჩიტი გალობს.
- ბ. - ვის უგალობ, ნაცარა ჩიტო?
- ა. პატარა ბიჭი ესალმება ყველას.
- ბ. - ვის ესალმები, პატარა ბიჭო?

**მზე უცინის ბიჭს.**

**ჩიტი უგალობს ბიჭს.**

**ბიჭი ესალმება ყველას - მზეს, ჩიტს,  
დედას, მამას, მასწავლებელს, თემურს,  
ომარს, ლალეს, ფატმას ...**

### Track 12 4. მოისმინეთ სიმღერა და შემდეგ თქვენ იმღერეთ.

5. დააკვირდით სურათებს. მოძებნეთ ისინი თქვენს საკლასო ოთახში და დაასახელეთ.

ამ ნივთებიდან:

- ა. რა არის თქვენს საკლასო ოთახში, რა არ არის;
- ბ. რა აწყვია თქვენს მერხებზე/მასწავლებლის მაგიდაზე, რა არ აწყვია;
- გ. რა კიდია თქვენი საკლასო ოთახის კედელზე, რა არ კიდია;
- დ. რა აწყვია თქვენს ჩანთაში და რა არ აწყვია.

დაფა



ცარცი



გაკვეთილების ცხრილი




გლობუსი



კალამი



ფერადი ფანქრები



სახაზავი



წიგნი



რვეული



მერხი



სახატავი რვეული



სკოლის ჩანთა



საშლელი

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

- ის \_\_\_?\_\_\_ მაგიდაზე და არის დიდი.
- მანქანაა?
- არ \_\_\_?\_\_\_ მანქანა. სასკოლო \_\_\_?\_\_\_.
- წიგნია?
- კი, \_\_\_?\_\_\_ არის წიგნი.

Track 13 7. მოისმინეთ და შეამოწმეთ.

### 1. მოძებნეთ შეცდომები და დაასახელეთ სწორი ფორმები.

- ა. მაგიდაზე დევს კალმები და ფანქრები.
- ბ. კარადაში დევს ნიგნები.
- გ. სკოლის ეზოში არიან მასწავლებელი.
- დ. ისინი არის ჩემი მასწავლებლები.
- ე. მოსწავლეები არიან საკლასო ოთახზე.
- ვ. კედელში კიდია საათი და დაფა.
- ზ. ჩემი ჩანთა აწყვია მერხზე.

დაიმახსოვრეთ!

კლასში დგას ....  
მერხზე დევს ...  
მერხზე აწყვია ...  
კედელზე კიდია ...

### 2. სწორად გადანერეთ წინადადებები რვეულში.

### 3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

- ა. მაგიდაზე \_\_\_\_\_ წითელი ფანქრები.
- ბ. ეს ჩემი ჩანთაა. \_\_\_\_\_ დევს ნიგნი.
- დ. ნიგნი \_\_\_\_\_ მასწავლებლის მაგიდაზეც.
- ე. ამ \_\_\_\_\_ სურათი კიდია.
- ვ. მერხები \_\_\_\_\_ კლასში.

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

ნიგნი – ნიგნები  
ჩანთა – ჩანთები  
მოსწავლე – მოსწავლეები

მასწავლებელი – მასწავლებლები  
კალამი – კალმები  
ფანქარი – ფანქრები  
საგანი – საგნები

### 4. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ნიგნი დევს მაგიდაზე. → ნიგნები აწყვია მაგიდაზე.

- ა. რვეული დევს ჩანთაში.
- ბ. კედელზე კიდია საათი.
- გ. მაგიდა დგას ოთახში.
- დ. მასწავლებელი არის კლასში.
- ე. კალამი დევს მაგიდაზე.

## 5. აღწერეთ საკლასო ოთახი.

რა დგას კლასში, კარადაზე, ფანჯრის რაფაზე? რა დევს/ანყვია მაგიდაზე, მერხებზე, კარადაში? რა კიდია კედელზე?



## 6. აღწერეთ თქვენი საკლასო ოთახი.

## 7. შეადარეთ ნახატი თქვენს საკლასო ოთახს.

ნიმუში:

- ა. სურათზე ოთახს აქვს ორი ფანჯარა. ჩვენს საკლასო ოთახს აქვს .....
- ბ. აქ დგას ერთი მაგიდა ....., ჩვენს ოთახში დგას ...
- გ. სურათზე კედელზე კიდია ანბანი ..., ჩვენთან კედელზე კიდია ...
- დ. აქ ფანჯრის რაფაზე ანყვია ...

# საგნები. კვირის დღეები და საათები

## 1. დააკვირდი და უპასუხე.

- ა. შენ რომელ საგნებს სწავლობ?
- ბ. შენ რომელი საგანი ან საგნები გიყვარს?

მე ვსწავლობ ხატვას / თურქულს / ქართულს ...

მე მიყვარს ხატვა / თურქული / ქართული ...



## 2. რომელი საგანი / საგნები უყვარს შენს მეგობარს? მენწყვილეს?

მას უყვარს ხატვა / თურქული / ქართული ...

### 3. ჰკითხეთ და უპასუხეთ ერთმანეთს ნიმუშის მიხედვით.



#### დააკვირდი!

##### სწავლა

მე ვსწავლობ ჩვენ ვსწავლობთ  
შენ სწავლობ თქვენ სწავლობთ  
ის სწავლობს ისინი სწავლობენ

##### სიყვარული

მე მიყვარს ჩვენ გვიყვარს  
შენ გიყვარს თქვენ გიყვართ  
მას უყვარს მათ უყვართ

#### სწავლობს

თურქულს, ქართულს, მათემატიკას, ხატვას, ბუნებას ...

#### უყვარს აინტერესებს

თურქული, ქართული, მათემატიკა, ხატვა, ბუნება ...

### 4. აირჩიეთ და ჩაწერეთ.

- მე მიყვარს \_\_\_\_\_ (ხატვა / ხატვას)
- ის სწავლობს \_\_\_\_\_ (ქართული / ქართულს)
- \_\_\_\_\_ (ის / მას) აინტერესებს მუსიკა.
- \_\_\_\_\_ (ვინ? ვის?) უყვარს სპორტი?
- მე \_\_\_\_\_ (ვსწავლობ / მიყვარს) ბუნება.
- მას \_\_\_\_\_ (აინტერესებს / სწავლობს) თურქულს.
- \_\_\_\_\_ (სწავლობ / აინტერესებს) შენ სიმღერა?
- ვინ \_\_\_\_\_ (სწავლობს / აინტერესებს) კომპიუტერს?

1. დააკავშირეთ ერთმანეთთან.







მე	გვაინტერესებს
შენ	აინტერესებთ
მას	გაინტერესებს
ჩვენ	მაინტერესებს
თქვენ	აინტერესებს
მათ	გაინტერესებთ

მე	ესწავლობთ
შენ	ესწავლობ
ის	სწავლობენ
ჩვენ	სწავლობთ
თქვენ	სწავლობს
ისინი	სწავლობ

2. დააკვირდით ცხრილს და ისაუბრეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში 1: თემურს უყვარს სპორტი, არ უყვარს ...

ნიმუში 2: სპორტი უყვართ თემურს და ...  
სპორტი არ უყვარს ...

	 თემური	 ორპანი	 ფერიდე	 თონა
	სპორტი მათემატიკა ისტორია	ინფორმატიკა ბუნება ხატვა	ქართული ხატვა ისტორია	თურქული ბუნება ინფორმატიკა
	ბუნება სიმღერა	ისტორია სიმღერა	ინფორმატიკა მათემატიკა	სპორტი მათემატიკა

3. პკითხეთ სამ კლასელს, რა უყვართ და რა არ უყვართ და გააცანით სხვებს.



4. ნაიკითხეთ კვირის დღეები და განმარტეთ, რას ნიშნავს დასვენება?

იანვარი 2015						
ორშაბათი	სამშაბათი	მთხმშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
			1 შაბათი	2 შაბათი	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

- 21 – ოცდაერთი
- 22 – ოცდაორი
- 23 – ოცდასამი
- 24 – ოცდაოთხი
- 25 – ოცდახუთი
- 26 – ოცდაექვსი
- 27 – ოცდაშვიდი
- 28 – ოცდარვა
- 29 – ოცდაცხრა
- 30 – ოცდაათი
- 31 – ოცდათერთმეტი

5. მოძებნეთ კალენდარში და დაასახელეთ, რა დღეა:

ოცდასამი    ოცდაშვიდი    ჩვიდმეტი    ოცდაცხრა    ოცდაერთი  
 ოცდათერთმეტი    ოცდარვა    ოცდაორი    ოცდაათი    ოცდახუთი

6. მოძებნეთ შეცდომა და დაასახელეთ სწორი ფორმა.

- |   |  |
|---|--|
| 1. – რა რიცხვია დღეს?<br>– ოსდათერთმეტი.  | 4. – დღეს რომელი რიცხვია?<br>– დღეს ოცდასამია.     |
| 2. – დღეს ოზდახუთია?<br>– არა, ოცდაოთხია. | 5. – დღეს სამია?<br>– არა, ერთია.                  |
| 3. – დღეს რა დღეა?<br>– ორშაბათს.         | 6. – დღეს თრვამეტია?<br>– არა, დღეს ოცდათერთმეტია. |

**დააკვირდით!**

**რა რიცხვია დღეს?**  
 დღეს პირველია, სამია, ჩვიდმეტია, ოცდახუთია, ოცდათერთმეტია ...

**რა დღეა პირველი, სამი, ოცდათერთმეტი...?**  
 პირველი არის ორშაბათი, ცამეტი ხუთშაბათია, ორი შაბათია ...

### 1. დაასახელეთ.

- ა. რა დღეა დღეს? რა დღე იყო გუშინ? რა დღე იქნება ხვალ?
- ბ. რა რიცხვია დღეს? რა რიცხვი იყო გუშინ? რა რიცხვი იქნება ხვალ?

### 2. წაიკითხეთ სქემა და დაიმახსოვრეთ.



### 3. დაასახელეთ.

- ა. რა დღეა დღეს? რა დღე იყო გუშინ? რა დღე იქნება ხვალ?
- ბ. რა რიცხვია დღეს? რა რიცხვი იყო გუშინ? რა რიცხვი იქნება ხვალ?

### 4. პკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

წიმუში:



5. დააკვირდით და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

რომელი საათია?



თორმეტი საათია.



შვიდი საათია.



პირველი საათია.



ორის ნახევარია.



ათის ნახევარია.



ცხრის თხუთმეტი წუთია.



პირველის ხუთი წუთია.



ექვს აკლია ოცდახუთი წუთი.



ორს აკლია ათი წუთი.

დააკვირდით!

რომელი საათია?

სამი საათია. სამის ნახევარია. სამის ათი წუთია. სამს აკლია ათი წუთი.

რომელ საათზე?

სამ საათზე. სამის ნახევარზე. სამის ათ წუთზე. სამს რომ აკლია ათი წუთი.

## 1. გაეცანით გაკვეთილების ცხრილს.

- ა. რომელ დღეებში სწავლობს თემური?
- ბ. რომელ დღეებში არ სწავლობს ის?
- გ. რა საგნებს სწავლობს თემური?
- დ. რამდენი გაკვეთილი აქვს?
- ე. რომელ დღეებში აქვს ხატვა, სიმღერა და სპორტი?
- ვ. რა გაკვეთილები აქვს ორშაბათსა და სამშაბათს?

### ორშაბათი

1. 9.00 ბუნება
2. 9.55 მათემატიკა
3. 10.50 ქართული
4. 11.45 ისტორია
5. 12.40 სპორტი

### სამშაბათი

1. 9.00 მათემატიკა
2. 9.55 ქართული
3. 10.50 ინფორმატიკა
4. 11.45 ხატვა
5. 12.40 ინგლისური



### ოთხშაბათი

1. 9.00 ბუნება
2. 9.55 მათემატიკა
3. 10.50 ქართული
4. 11.45 ქართული
5. 12.40 სიმღერა

### ხუთშაბათი

1. 9.00 ისტორია
2. 9.55 ქართული
3. 10.50 მათემატიკა
4. 11.45 ხატვა
5. 12.40 სპორტი

### პარასკევი

1. 9.00 ინფორმატიკა
2. 9.55 მათემატიკა
3. 10.50 ქართული
4. 11.45 ინგლისური
5. 12.40 სიმღერა

## 2. უპასუხეთ წინა დავალების შეკითხვებს თქვენ შესახებ.

## 3. წაიკითხეთ და შეადარეთ ცხრილს. თქვით, სად რა შეცდომაა.

- ა. თემურს ისტორიის გაკვეთილები აქვს ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს.
- ბ. სამშაბათს პირველი აქვს ინფორმატიკა.
- გ. ოთხშაბათს ორი გაკვეთილი აქვს ინგლისური.
- დ. სიმღერას სწავლობს ხუთშაბათსა და პარასკევს.
- ე. ბუნების გაკვეთილი პირველი აქვს სამშაბათსა და ოთხშაბათს.

## 4. სწორად გადაწერეთ წინადადებები რვეულში.

5. დაუბრუნდით ცხრილს და უპასუხეთ შეკითხვებს.

როდის? რომელ საათზე?

- ა. რომელ საათზე იწყება პირველი გაკვეთილი?
- ბ. რომელ საათზე მთავრდება ბოლო გაკვეთილი?
- გ. რომელ საათზე აქვს ქართული ენა სამშაბათსა და პარასკევს?
- დ. რა აქვს ორშაბათს ათ საათზე, სამშაბათს – თერთმეტის ნახევარზე, ოთხშაბათს – თორმეტის ოც წუთზე, ხუთშაბათს – პირველს რომ აკლია თხუთმეტი წუთი?

6. დააკავშირეთ შეკითხვები პასუხებთან.

- |                             |                    |
|-----------------------------|--------------------|
| 1. რა დღეა დღეს?            | ა. ორშაბათს.       |
| 2. რა რიცხვი იყო გუშინ?     | ბ. პირველ საათზე.  |
| 3. როდის აქვს მათემატიკა?   | გ. ორშაბათი.       |
| 4. რომელ საათზე აქვს ხატვა? | დ. პირველი საათია. |
| 5. რომელი საათია?           | ე. პირველი.        |

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_
5. \_\_\_\_\_

7. შეავსეთ დიალოგებში გამოტოვებული ადგილები ცხრილის მიხედვით.



- როდის გაქვს ინფორმატიკა?  
 - პარასკევს.  
 - მერამდენე გაკვეთილია?  
 - \_\_\_\_\_?  
 - რომელ საათზე იწყება?  
 - \_\_\_\_\_?

- შენ რა გაკვეთილი გაქვს სამშაბათს მეორე?  
 - \_\_\_\_\_?  
 - რომელ საათზე იწყება?  
 - \_\_\_\_\_?

8. გამოიყენეთ თქვენი გაკვეთილების ცხრილი და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

# საქმიანობა სკოლაში

1. ნაიკითხეთ და დააკვირდით სურათებს.



გოგონა კითხულობს.



მოსწავლე წერს.



ბიჭები ხატავენ.



ბავშვი ანგარიშობს.



ომარი თამაშობს.



თეონა უსმენს.



ბავშვები მღერიან.



ბიჭები ლაპარაკობენ.

2. ნაიკითხეთ და დაასახელეთ, რომელ გაკვეთილზეა საუბარი.

ქართულის მათემატიკის ხატვის სიმღერის სპორტის ისტორიის ბუნების

- ა. \_\_\_?\_\_\_ გაკვეთილზე ვუსმენთ, ვწერთ და ვკითხულობთ.
- ბ. \_\_\_?\_\_\_ გაკვეთილზე ვხატავთ.
- გ. \_\_\_?\_\_\_ გაკვეთილზე ვწერთ, ვუსმენთ და ანგარიშობთ.
- დ. \_\_\_?\_\_\_ გაკვეთილზე ვუსმენთ და ვმღერით.
- ე. \_\_\_?\_\_\_ გაკვეთილზე ვთამაშობთ.

დააკვირდით!

მოსმენა

მე ვუსმენ ჩვენ ვუსმენთ  
 შენ უსმენ თქვენ უსმენთ  
 ის უსმენს ისინი უსმენენ

მღერა

მე ვმღერი ჩვენ ვმღერით  
 შენ მღერი თქვენ მღერით  
 ის მღერის ისინი მღერიან

Track 14 3. მოისმინეთ და შეავსეთ.

- როდის გაქვს \_\_\_\_\_?
- \_\_\_\_\_
- რომელ საათზე გაქვს?
- \_\_\_\_\_
- რას აკეთებ გაკვეთილზე?
- \_\_\_\_\_



Track 14 4. მოისმინეთ თავიდან და შეამოწმეთ.





5. მოძებნეთ შეცდომები და გაასწორეთ.

- რას აკეთებ?  
 - მღერი, შენ?  
 - მე კითხულობ.

- შენ რას აკეთებ?  
 - მე ანგარიშობთ, შენ?  
 - მე წერთ.

Track 15 6. მოისმინეთ რეპლიკები და შეამოწმეთ.

# ითაგაზეთ და ზაგორგეთ თქვენი სოღნა.

<p><b>დაასახელე:</b> <span style="float: right;">12</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა რიცხვი და რა დღეა დღეს?</li> <li>• რა რიცხვი და რა დღე იყო გუშინ?</li> <li>• რა რიცხვი და რა დღე იქნება ხვალ?</li> </ul>	<p><b>ისაუბრე შენი და-ძმის შესახებ.</b> <span style="float: right;">5</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა ჰქვიათ?</li> <li>• რამდენი წლისანი არიან?</li> <li>• ვინ რომელ კლასში სწავლობს?</li> </ul>	<p><b>რომელი საათია?</b> <span style="float: right;">4</span></p> 
<p><b>დაასახელე:</b> <span style="float: right;">11</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა გიწყევია მერხზე? ჩანთაში?</li> <li>• რა უწყევია შენს მენწყვილეს?</li> </ul>	<p><b>დაითვალე!</b> <span style="float: right;">6</span></p> <div style="text-align: center;">  </div>	<p><b>დაასახელე:</b> <span style="float: right;">3</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა გაკვეთილები გაქვს დღეს?</li> </ul> <p>მიუთითე შესაბამისი დრო!</p>
<p><b>დაასახელე, რა არის.</b> <span style="float: right;">10</span></p> 	<p><b>დაასახელე:</b> <span style="float: right;">7</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა საგნებს სწავლობ?</li> <li>• რომელი საგანი გიყვარს / არ გიყვარს?</li> <li>• გაინტერესებს / არ გაინტერესებს?</li> </ul>	<p><b>ისაუბრე, რას აკეთებ სკოლაში:</b> <span style="float: right;">2</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხატვის გაკვეთილზე?</li> <li>• მათემატიკის გაკვეთილზე?</li> <li>• სპორტის გაკვეთილზე?</li> <li>• მუსიკის გაკვეთილზე?</li> <li>• ქართულის გაკვეთილზე?</li> </ul>
<p><b>აღწერე შენი საკლასო ოთახი.</b> <span style="float: right;">9</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა დგას კლასში – რამდენია და როგორია?</li> <li>• რა კიდია კედელზე?</li> <li>• რა აწყვია / დევს მერხებზე, მაგიდაზე ...</li> </ul>	<p><b>ჩამოთვალე, რა საგნებს სწავლობ.</b> <span style="float: right;">8</span></p> 	<p><b>ისაუბრე შენ შესახებ.</b> <span style="float: right;">1</span></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა გქვია და რომელ კლასში სწავლობ?</li> <li>• რა ჰქვიათ შენს ქართულისა და თურქულის მასწავლებლებს?</li> </ul>



ნაკითხეთ და მიუთითეთ, რა შეგიძლიათ.

Okuduğumu  
anlıyorum.

Diyalogu  
anlayabiliyorum.

Anlamaktan ziyade  
daha iyi  
konuşuyorum.

Bu sözleri  
hatırlamakta  
zorluk  
çekmiyorum.

Bu konular  
hakkında  
konuştuklarını  
anlıyorum.

რა გვიშლის ხელს? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

İmkânlarımı gerektiği gibi kullanmıyorum.	
Zamanımı doğru biçimde kullanamıyorum.	
Eğlenmeye çok zaman ayırıyorum.	
Hata yapmaktan korktuğum için derse aktif biçimde katılmıyorum.	
Anlamadığımda kimseden yardım istemiyorum.	
Sözlük, anket, şema, yapısal model vs. ilave kaynakları yapmıyorum.	
Kendi yaptığım kaynakları kullanmıyorum.	
Geçmiş konuları düzenli bir biçimde tekrarlamıyorum.	
Zor ve anlamadığım materyal üzerine kötü çalışıyorum ya da çalışmıyorum.	



# 5

- სად მიდიხარ,  
ხედავ, წითელი  
ანთია!



# ტრანსპორტი. ქალაქის ქუჩაში.

1. დააკვირდით და დაასახელეთ, აქედან რომელი ტრანსპორტი დადის თქვენს ქალაქსა თუ სოფელში.



ავტობუსი



ტრამვაი



მატარებელი



მეტრო



ავტომობილი



გემი



ნავი



მოტოციკლეტი



ველოსიპედი

- გზა - საგზაო ტრანსპორტი: ტაქსი, ავტომობილი ...  
რკინიგზა - სარკინიგზო ტრანსპორტი: მეტრო, მატარებელი ...  
წყალი - წყლის ტრანსპორტი: კატერი, ნავი ...

### 1. მოძებნეთ შეცდომები და დაასახელეთ სწორი ფორმები.

- ა. ბიძაჩემს ლამაზი მანქანა აქვს.
- ბ. ჩემს სახლს დიდი აივანს აქვს.
- გ. აქვს შენ ფერადი ფანქრები?
- დ. რამდენი მამიდაშვილი არის შენ?
- ე. ჩვენ ახალი ველოსიპედი გვაქვს.
- ვ. შენს ბიძაშვილებს ჰყავს ველოსიპედი?
- ზ. ჩემს ძმას დიდი სათამაშო მანქანა ჰყავს.

**დაიმახსოვრეთ!**

**მაქვს**

სახლი, ეზო, ჩანთა,  
სათამაშო მანქანა ...

**მყავს**

და, ძმა, მეგობარი,  
ველოსიპედი, მანქანა ...

### 2. სწორად გადანერეთ წინადადებები რვეულში.

### 3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

**დადის თუ დადიან?**

- ა. ქალაქში ყვითელი ავტობუსები \_\_\_\_\_.
- ბ. ეს ტრანსპორტი ჩემს ქალაქში არ \_\_\_\_\_.
- დ. ლაღე და ფატმა ჩემს სკოლაში \_\_\_\_\_.
- ე. ჩემი მეგობარი მეორე სკოლაში \_\_\_\_\_.

**დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!**

ტრამვაი – ტრამვაები

მანქანა – მანქანები

მატარებელი – მატარებლები

ბავშვი დადის სკოლაში.

ბავშვები დადიან სკოლაში.

ავტობუსი დადის ქალაქში.

ავტობუსები დადის ქალაქში.

### 4. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

**ნიმუში:** ბიჭი მიდის სკოლაში. → ბიჭები მიდიან სკოლაში.

- ა. მანქანა მიდის ქუჩაში.
- ბ. მატარებელი არ დადის ქალაქში.
- გ. გოგონა არის სახლში.
- დ. კაცი მიდის სახლში.

5. დააკვირდით და უპასუხეთ.

რომელია სწრაფი ტრანსპორტი?



თუ



6. ნაიკითხეთ და თქვით, სწორია თუ არა.

- ა. ავტომანქანა სწრაფი ტრანსპორტია.
- ბ. მატარებელი არ არის სწრაფი ტრანსპორტი.
- გ. მოტოციკლეტი ველოსიპედზე სწრაფია.
- დ. ნავი გემზე სწრაფია.
- ე. ავტომანქანა ავტობუსზე სწრაფია.
- ვ. ტრამვაი ავტობუსზე სწრაფი ტრანსპორტია.

7. ნაიკითხეთ და დააკვირდით.

სწრაფი

უფრო სწრაფი

ყველაზე სწრაფი



დააკვირდით!

ტრამვაი სწრაფი ტრანსპორტია.  
ავტომანქანა ტრამვაიზე უფრო სწრაფია.  
თვითმფრინავი ყველაზე სწრაფი ტრანსპორტია.

## 1. აღწერეთ ფოტოები.

- ა. დაასახელეთ ქალაქი, ტრანსპორტი, ნაცნობი საგნები.
- ბ. აღწერეთ სახლი, ქუჩა, ტროტუარი.
- გ. მიუთითეთ, რომელ ქალაქში ცხოვრობს.



ფერიდე



ტროტუარი

ქუჩა



ფიქრია

## 2. შეადარეთ ეს ორი ფოტო ერთმანეთს.

### 3. ნაიკითხეთ და შეავსეთ ნაკლული ტექსტი.

ქალაქის ჩემი ქალაქში ამ ქალაქია მე

\_\_\_\_\_ ბათუმში ვცხოვრობ. ბათუმი პატარა საპორტო \_\_\_\_\_ ქალაქში არის ძველი და ახალი უბნები. \_\_\_\_\_ სახლი ძველ უბანში, ვინრო ქუჩაზეა. \_\_\_\_\_ ქუჩას გოგებაშვილის ქუჩა ჰქვია. აქ ბევრი თურქული კაფე-ბარი და რესტორანია.

\_\_\_\_\_ ქუჩებში უამრავი ტრანსპორტი დადის – ავტობუსები, სამარშრუტო ტაქსები, ყვითელი ტაქსები, კერძო მანქანები, ველოსიპედები და ველოტაქსები. \_\_\_\_\_ ყველაზე სწრაფი ტრანსპორტი ტაქსია.

### 4. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ვინ საუბრობს ბათუმის შესახებ?
- როგორი ქალაქია ბათუმი?
- სად და როგორ ქუჩაზე ცხოვრობს ფიქრია?
- რომელი ტრანსპორტი დადის ბათუმში?
- რომელი ტრანსპორტია ყველაზე სწრაფი ბათუმში?

### 5. ნაიკითხეთ და დაასრულეთ სიტყვები.

ჩემი ქალაქი ძალიან დიდია. ქალაქ \_\_\_\_\_ ძველ უბნებ \_\_\_\_\_ ვინრო ქუჩები და დაბალი სახლებია, ახალ უბნებ \_\_\_\_\_ კი ფართო ქუჩები და მრავალსართულიანი სახლები დგას. ქალაქ \_\_\_\_\_ ქუჩებ \_\_\_\_\_ გადატვირთული მოძრაობაა. აქ ყველაზე სწრაფი ტრანსპორტია ტრამვაი.

მე ძველ ქალაქ \_\_\_\_\_ ორსართულიანი სახლ \_\_\_\_\_ მეორე სართულ \_\_\_\_\_ ვცხოვრობ. პირველ სართულ \_\_\_\_\_ პატარა კაფეა. კაფე \_\_\_\_\_ თურქი დიზაინერების აქსესუარები და სუვენირებია გამოფენილი.

### 6. უპასუხეთ შეკითხვებს.

- რამდენსართულიან სახლში ცხოვრობს ფერიდე?
- რა არის პირველ სართულზე?
- როგორი ქალაქია სტამბოლი?
- რომელი ტრანსპორტია ყველაზე სწრაფი სტამბოლში?
- როგორი სახლები და ქუჩებია სტამბოლის ძველ უბნებში? ახალ უბნებში?

### 7. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები ტექსტების გარშემო და უპასუხეთ.

### 8. ისაუბრეთ თქვენი ქალაქის, სოფლის შესახებ.

- როგორი თქვენი ქალაქი? სოფელი?
- როგორი ქუჩები და სახლებია თქვენს ქალაქში?
- სად არის თქვენი სახლი? როგორია ის?
- რომელი ტრანსპორტია ყველაზე სწრაფი?

# ადგილმდებარეობის მითითება

## 1. დააკვირდით და აღწერეთ სურათი.

რამდენსართულიანი სახლები დგას? როგორი სახლებია? რა აქვთ მათ? როგორია ქუჩები?



## 2. წაიკითხეთ, მოძებნეთ სურათზე და მიუთითეთ.

- მე სამსართულიან სახლში ვცხოვრობ. ჩემი სახლის გვერდით მარკეტია.
- ჩვენ მარკეტის თავზე ვცხოვრობთ. ჩვენი სახლის გვერდით პატარა და ვიწრო ქუჩაა.
- ჩემს სახლს დიდი შესასვლელი აქვს.
- ჩემი სახლის სახურავზე დიდი მრგვალი საათია.
- ის წითელი ფერისაა და დგას ხის წინ.
- მანქანის უკან ხუთსართულიანი სახლია. მას წითელი სახურავი აქვს.

## 3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

სახლი    სახლს    სახლის

- \_\_\_\_\_ არის დიდი და ლამაზი.
- \_\_\_\_\_ გვერდით მარკეტია.
- \_\_\_\_\_ ხის აივანი აქვს.

დააკვირდით!

სახლი არის დიდი.  
სახლს აქვს აივანი.  
სახლის წინ მარკეტია.



#### 4. ნაიკითხეთ და შეადარეთ წინადადებები.

ის (ვინ? რა?) არის

1. გოგო არის გამხდარი.
2. სახლი არის ლამაზი.
3. მალაზია არის დიდი.
4. ხე არის მაღალი.

მას (ვის? რას?) აქვს/ჰყავს

1. გოგოს ჰყავს ძაღლი.
2. სახლს აქვს აივანი.
3. მალაზიას აქვს ორი ფანჯარა.
4. ხეს არ აქვს ფოთოლი.

მის წინ (გვერდით, უკან...) არის / დგას ...

(ვის წინ...? რის წინ...?)

1. გოგოს გვერდით ბაბუა დგას.
2. სახლის წინ მალაზიაა.
3. მალაზის უკან სკოლაა.
4. ხის გვერდით დგას ბიჭი.

#### 5. ნაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი წინადადებები.

- |                                |                                    |
|--------------------------------|------------------------------------|
| ა. სახლს წითელი სახურავი აქვს. | ა. სახლს წინ დიდი და ფართო ქუჩაა.  |
| ბ. სახლი წითელი სახურავი აქვს. | ბ. სახლის წინ დიდი და ფართო ქუჩაა. |
| ა. თეატრის უკან ჩემი სახლია.   | ა. მალაზიას არის დიდი.             |
| ბ. თეატრს უკან ჩემი სახლია.    | ბ. მალაზია არის დიდი.              |
| ა. მალაზიას გვერდით კაფეა.     | ა. ბიჭის უკან მანქანა დგას.        |
| ბ. მალაზიის გვერდით კაფეა.     | ბ. ბიჭს უკან მანქანა დგას.         |

#### 6. მოძებნეთ შეცდომები და დაასახელეთ.

ჩემს სახლს ქალაქის ცენტრშია. სახლი თეთრი კედლები და ყავისფერი სახურავი აქვს. სახლს წინ პატარა ეზოა, სახლს უკან არის დიდი ბაღი. ბაღში მაღალი ხეები და ლამაზი ყვავილებია. სახლს გვერდით არის პატარა მალაზია.

#### 7. სწორად გადანერეთ ტექსტი რვეულში.

#### 8. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა. სად არის სახლი?
- ბ. სად არის ეზო?
- გ. სად არის ბაღი?
- დ. სად არის მალაზია?

- ა. რა აქვს სახლს?
- ბ. რა ფერისაა კედლები და სახურავი?
- გ. როგორია ეზო, ბაღი, ხეები და ყვავილები?

1. დააკვირდით სურათს და დაასახელეთ:

სადარის მარკეტი, მალაზია, კაფე?  
სად დგას ქალი, კაცი, ბიჭი, გოგო, მანქანა?

გამოიყენეთ!

ნინ უკან გვერდით  
ზემოთ ქვემოთ

დაიმახსოვრეთ!

მანქანა – მანქანის  
აივანი – აივნის



დაიმახსოვრეთ!

...-ის ნინ / უკან / გვერდით:

ის დგას სახლის ნინ / თეატრის გვერდით / ქალის უკან...

დაიმახსოვრეთ!

ჩემი სახლი არის ...

ჩემს სახლს აქვს ...

ჩემისახლის ნინ, უკან, გვერდით ...

## 2. დაუბრუნდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს სრულად.

- ა. სად არის საათი?
- ბ. სად დგას პატარა გოგო?
- გ. რის გვერდით დგას კაცი?
- დ. სად არის კაფე?
- ე. რის გვერდით არის მარკეტი?
- ვ. ვის უკან დგას ძაღლი?
- ზ. სად დგას ქალი?
- თ. სად არის მაღაზია?



## 3. დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები და უპასუხეთ.

### 4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

ჩემი სახლი    ჩემს სახლს    ჩემი სახლის

- ა. \_\_\_\_\_ არის დიდი და ლამაზი.
- ბ. \_\_\_\_\_ გვერდით დიდი ბალია.
- გ. \_\_\_\_\_ პატარა ეზო აქვს.

## 5. ნაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი წინადადებები.

- |                                 |                              |
|---------------------------------|------------------------------|
| ა. ჩემს სახლს პატარა ბალი აქვს. | ა. ჩემს სახლს წინ მაღაზიაა.  |
| ბ. ჩემს სახლს პატარა ბალი აქვს. | ბ. ჩემს სახლის წინ მაღაზიაა. |
| გ. ჩემი სახლი პატარა ბალი აქვს. | გ. ჩემი სახლის წინ მაღაზიაა. |

## 6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

ნიმუში:

- ა. სად ცხოვრობ შენ? სად ცხოვრობს შენიმეგობარი? შენი მამიდაშვილი / ბიძაშენი...?
- ბ. რა არის შენი (ბიძაშენის...) სახლის წინ / უკან / გვერდით?
- გ. სად არის მაღაზია, მარკეტი, ეზო, სკოლა...?

**გამოიყენეთ!**

სახლში  
ქალაქის ცენტრში  
მარკეტის თავზე

სად?

სახლის / მაღაზიის / ხის ...  
წინ, უკან, გვერდით,

1. წაიკითხეთ და დააკვირდით.



კაცი დგას ტროტუარზე.



ქალი და კაცი დგანან გადასასვლელთან.



ბიჭი ზის სკამზე და ხატავს.



ბებია და შვილიშვილები სხედან მაგიდასთან.

გაიხსენეთ!

ყოფნა

მე ვარ  
შენ ხარ  
ის არის

ჩვენ ვართ  
თქვენ ხართ  
ისინი არიან

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

დგომა

მე ვდგავარ  
შენ დგახარ  
ის დგას

ჩვენ ვდგავართ  
თქვენ დგახართ  
ისინი დგანან

ჯდომა

ვზივარ  
ზიხარ  
ზის

ვსხედვართ  
სხედხართ  
სხედან

## 2. დაასრულეთ სიტყვები.

- ა. ის დგას ტროტუარ\_\_\_
- ბ. ისინი სხედან მაგიდას\_\_\_
- გ. ისინი დგანან გადასასვლელ\_\_\_
- დ. ის ზის სკამ\_\_\_ და ხატავს.

## 3. დააკვირდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა. ვინ დგანან შადრევანთან?
- ბ. სად ზის გოგონა? რას აკეთებს ის?
- გ. ვინ დგას სკამთან?
- დ. ვინ სხედან სკამზე?
- ე. რას აკეთებს პატარა ბიჭი?
- ვ. ვინ მღერის?
- ზ. სად არიან ბებია და ბაბუა?



## 4. აღწერეთ და გამოიცანით.

- ნიმუში:**
- ა. არის მაღალი და გამზდარი. თეთრთმიანია. აქვს სათვალე... კაცია.
  - ბ. არის მაღალი და გამზდარი. აქვს მოკლე თმა. ჰყავს ველოსიპედი.

## 1. ნაიკითხეთ, მოძებნეთ სურათზე და მიუთითეთ.

- ა. გაჩერებაზე ზის ქალი. ქალის წინ დგას სათვალე ქნი გოგონა.
- ბ. თეატრის წინ დგას მსუქანი კაცი, თეატრის გვერდით დგას მაღალი ხე.
- გ. გაჩერებასთან ზის ძაღლი, ძაღლის გვერდით დგანან ბაბუა და შვილიშვილი.
- დ. ავტობუსში სხედან ბავშვები, ავტობუსი არის ბაბუას უკან.

## 2. აღწერეთ სურათი.

- ა. დაასახელეთ ვინ არიან, სად არიან და რას აკეთებენ.
- ბ. მიუთითეთ, რომელი ტრანსპორტია.
- გ. აღწერეთ ადამიანები, ქუჩა, სახლები და ა.შ.



**Track 16** 3. მოისმინეთ დიალოგები და მიუთითეთ სურათზე, ვინ საუბრობს.

#### 4. აღადგინეთ რეპლიკები.

- გამარჯობა, ექვსი \_\_\_? \_\_\_ ავტობუსი აქ ჩერდება?

- კი, აქ \_\_\_? \_\_\_

- აქ რატომ დგახარ?

- \_\_\_? \_\_\_ მინდა გადასვლა.

- სად არის \_\_\_? \_\_\_?

- შუქნიშანს ხედავ? აი, \_\_\_? \_\_\_ არის.

#### 5. დასვით შეკითხვები და უპასუხეთ სურათის მიხედვით.

- რა არის ეს?

- ეს არის შუქნიშანი.

- ვინ დგას შუქნიშანთან?

- შუქნიშანთან დგას კაცი.

- რა არის სახლის წინ?

- სახლის წინ ქუჩაა.

- რა მიდის ქუჩაში?

- მანქანა.

- სად არის გადასასვლელი?

- გადასასვლელი არის შუქნიშანთან.

- ვინ დგას შუქნიშნის გვერდით?

- შუქნიშნის გვერდით დგას კაცი.

#### დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

ეს არის სახლი. სახლთან დგას მანქანა, სახლის წინ ქუჩაა.

ეს არის მანქანა. მანქანასთან დგას კაცი. მანქანის გვერდით გაჩერებაა.

ეს არის ხე. ხესთან დგას ბიჭი. ხის უკან არის სახლი.

#### 6. დაასრულეთ სიტყვები.

თეატრ\_\_\_ წინ დიდი ტროტუარია. ტროტუარ\_\_\_ დგას მსუქანი კაცი. კაც\_\_\_ გვერდით მაღალი ხეა. ხე\_\_\_ ზის ძაღლი. ხ\_\_\_ გვერდით შუქნიშანია. შუქნიშან\_\_\_ არის გადასასვლელი. შუქნიშნ\_\_\_ წინ დიდი ქუჩაა. ქუჩა\_\_\_ ბევრი ბავშვია.

1. წაიკითხეთ და დააკვირდით.



კაცი **მიდის** იქით.



ქალი **მოდის** აქეთ.



ბიჭი **გადადის** გადასასვლელზე.

2. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

იქით	მოდის
აქეთ	მიდის

გადასასვლელზე	სხედან
ავტობუსში	გადადიან

იქით	მოდის
აქეთ	მიდის

3. დააკავშირეთ და გადაწერეთ.

მიდის	დგანან
მოდის	მიდიან
დგას	სხედან
ზის	მოდიან

**დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!**

მოსვლა	წასვლა
მე <b>მოვდივარ</b>	<b>მივდივარ</b>
შენ მოდიხარ	მიდიხარ
ის მოდის	მიდის
<b>ჩვენ</b> მოვდივართ	<b>მივდივართ</b>
<b>თქვენ</b> მოდიხართ	<b>მიდიხართ</b>
ისინი მოდიან	მიდიან

ის \_\_\_\_\_ ისინი \_\_\_\_\_  
 ის \_\_\_\_\_ ისინი \_\_\_\_\_  
 ის \_\_\_\_\_ ისინი \_\_\_\_\_  
 ის \_\_\_\_\_ ისინი \_\_\_\_\_

4. გამოიყვანი, რა არის.

მიდის, მოდის, ერთ ადგილზე დგას.





# ტანსაცმელი. სხეულის ნაწილები. მალაჩიები

1. დააკვირდით და დაასახელეთ, აქედან რომელია კაცის და რომელი – ქალის ტანსაცმელი.



- |                 |                                       |
|-----------------|---------------------------------------|
| <b>ვიცვამთ</b>  | - კაბას, შარვალს, პერანგს, პალტოს ... |
| <b>ვიხურავთ</b> | - ქუდს, თავსაფარს ...                 |
| <b>ვიკეთებთ</b> | - კაშნეს, ქამარს...                   |

1. მოძებნეთ შეცდომები და დაასახელეთ სწორი ფორმები.

- ა. ჩემი და ქუდს არ იცვამს.
- ბ. ლალე სათვალეს იხურავს.
- გ. შენ იცვამს გრძელ კაბას?
- დ. ისინი იკეთებს ქაშარებს.
- ე. ჩვენ არ ვიკეთებთ ქაშარებს.
- ვ. ბიჭები იცვამენ შარვალებს.

**დაიმახსოვრეთ!**

ჩაცმა	
მე ვიცვამ	ჩვენ ვიცვამთ
შენ იცვამ	თქვენ იცვამთ
ის იცვამს	ისინი იცვამენ
დახურვა	
მე ვიხურავ	ჩვენ ვიხურავთ
გაკეთება	
მე ვიკეთებ	ჩვენ ვიკეთებთ

2. სწორად გადანერეთ წინადადებები რვეულში.

3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.


ა. თქვენ \_\_\_\_\_ ლამაზ კაბებს.

ბ. თემური \_\_\_\_\_ გრძელ ქაშარს.

გ. ფატმა და ლალე \_\_\_\_\_ სათვალეებს.

დ. ორპანის დედა თავსაფარს \_\_\_\_\_

4. წაიკითხეთ და აჩვენეთ.



5. დაასახელეთ, რა შეიძლება იყოს:

მალალი დაბალი გრძელი მოკლე ფართო ვიწრო დიდი პატარა მრგვალი

## 6. აღწერეთ სურათი.

- რამდენსართულიანია სუპერმარკეტი და რომელ სართულზე რა მაღაზიაა?
- დაასახელეთ კონკრეტული ნივთები.



- სად იყიდება ტელევიზორი?
- საოჯახო ტექნიკის მაღაზიაში.

- სად არის საოჯახო ტექნიკის მაღაზია?
- მეორე სართულზე.

### დააკვირდით

იყიდება ... -ის მაღაზიაში  
გამყიდველი ყიდის  
მყიდველი ყიდულობს.

7. გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები სურათის მიხედვით.

8. შეადარეთ სურათზე მოცემული სუპერმარკეტი თქვენს სუპერმარკეტს. ისაუბრეთ თქვენი სუპერმარკეტის შესახებ.

1. სად იყიდება მოცემული ნივთები?



თუთიყუში  
გალიაში




ჩაიდანს



სპორტული  
ფეხსაცმელი



სათვალე



კუ



მაკრატელი



დანა



სავარცხელი



თევზები აკვარიუმში



უთო



კბილების ჯაგრისი

2. დაასახელეთ, მოცემული ნივთებიდან, რომელია:

- ა. ტანსაცმელი
- ბ. ფეხსაცმელი
- გ. აქსესუარი
- დ. საოჯახო ტექნიკა
- ე. ჭურჭელი
- ვ. სათამაშო

დააკვირდით

სავარცხელი – სავარცხლები  
ჩაიდანს – ჩაიდნები  
მაკრატელი – მაკრატლები

3. დაასახელეთ, რას ვიცვამთ, რას ვიხურავთ და რას ვიკეთებთ აქედან.

#### 4. დაასახელეთ, რა იყიდება ამ ხილბოსტნეულის მაღაზიაში.



#### 5. დაასახელეთ, რომელია ზედმეტი.

- ა. ხილია: ვაშლი, მსხალი, გოგრა, საზამთრო, ყურძენი, ფორთოხალი
- ბ. ბოსტნეულია: კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო, ბანანი
- გ. აქსესუარია: სათვალე, ქაშარი, კაბა, ქოლგა, ჩანთა
- დ. ჭურჭელია: ჭიქა, თეფში, ჩაიდანი, დანა, მაკრატელი

#### 6. შეავსეთ დიალოგში გამოტოვებული ადგილები.

- \_\_\_?\_\_\_ გამყიდველი ვიქნები!
- არა, მე ვიქნები \_\_\_?\_\_\_, შენ \_\_\_?\_\_\_ იყავი!
- კარგი. ფორთოხლის წვენი გაქვთ?
- \_\_\_?\_\_\_, ვაშლის წვენი \_\_\_?\_\_\_.
- რა ღირს?
- 1 ლარი და 50 თეთრი.
- ორი \_\_\_?\_\_\_ მომეცით.
- ინებეთ.
- მაძლობთ.

#### Track 17 7. მოისმინეთ და შეამოწმეთ.

#### 8. გამოიყენეთ სურათი და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

# ითაგაზეთ და ზაამონზეთ თქვენი სოღნა.



ისაუბრესურათის შესახებ.

11

- ვინ არიან, სად არიან და რას აკეთებენ?
- დაასახელეთ ტრანსპორტი.
- აღწერეთ ადამიანები, ქუჩა, სახლები.

დაასახელე, რა არის და სად იყიდება?

4



დაასახელე:

10

- რას ვიცვამთ?
- რას ვიხურავთ?
- რას ვიკეთებთ?

დაასახელე:

6

- ქალის ტანსაცმელი
- კაცის ტანსაცმელი

ისაუბრე შენი ქუჩის შესახებ.

3

- როგორი ქუჩაა?
- რა არის შენს ქუჩაზე?
- სად არის გაჩერება, მარკეტი, კაფე, გადასასვლელი...

ისაუბრე შენი სახლის შესახებ.

9

- სად არის შენი სახლი?
- როგორია, რა ფერის კედლები და სახურავი აქვს?
- კიდევ რა აქვს, რამდენი და როგორი?
- რა არის მის წინ, უკან, გვერდით, ზემოთ, ქვემოთ

ისაუბრე სურათის შესახებ.

2

- სად არიან ისინი?
- რა არის იქ?
- აღწერე ადამიანები.
- მიუთითე, ვინ სად არის და რას აკეთებს.



ჩამოთვალე:

8

- საგზაო ტრანსპორტი
- სარკინიგზო ტრანსპორტი
- წყლის ტრანსპორტი

აჩვენე და დაასახელე საკუთარი სხეულის ნაწილები.

7

ისაუბრე შენი ქალაქის, სოფლის შესახებ.

1

- რა პქვია და როგორია?
- რომელი ტრანსპორტი დადის იქ?
- როგორი ქუჩებია?

ნაკითხეთ და მიუთითეთ, რა შეგიძლიათ.



რა გვიშლის ხელს? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

İmkânlarımı gerektiği gibi kullanmıyorum.	
Zamanımı doğru biçimde kullanamıyorum.	
Eğlenmeye çok zaman ayırıyorum.	
Hata yapmaktan korktuğum için derse aktif biçimde katılmıyorum.	
Anlamadığımda kimseden yardım istemiyorum.	
Sözlük, anket, şema, yapısal model vs. ilave kaynakları yapmıyorum.	
Kendi yaptığım kaynakları kullanmıyorum.	
Geçmiş konuları düzenli bir biçimde tekrarlamıyorum.	
Zor ve anlamadığım materyal üzerine kötü çalışıyorum ya da çalışmıyorum.	

# დაგატავითი საკითხავი

## კატო და ანბანი

კატო ანბანს სწავლობს და სიტყვებს ასახელებს: ა-ზე არის ატამი, შემდეგ მოდის ბუ, შემდეგია გოგრა, შემდეგ არის დათვი; ე-ზე არის ენძელა, შემდეგ მოდის ვარდი. შემდეგია ზარი, შემდეგ არის თაგვი. ი-ზე არის ია, შემდეგ მოდის კუ, შემდეგია ლომი. შემდეგ არის ...

დაეხმარეთ კატოს!



### უპასუხეთ შეკითხვებს:

1. დაითვალეთ, რამდენ სიტყვას ასახელებს კატო?
2. ჩამოთვალეთ ეს სიტყვები.
3. თქვენ რა სიტყვით დაეხმარეთ კატოს?

## თეონა და ომარი თამაშობენ



თეონას ჩანთაში აქვს სასკოლო ნივთები, ომარს კი ჩანთაში სათამაშოები აქვს. ომარი სწორად ასახელებს, რა აქვს თეონას ჩანთაში - კალამი, ნიგნი, რვეული, ფანქარი. თეონა ვერ ასახელებს სათამაშოებს.

ომარს ჩანთაში დიდი ბურთი აქვს, თეონა კი ასახელებს კომბოსტოს. ომარს ჩანთაში ყვითელი მანქანა აქვს, თეონა კი ასახელებს სტაფილოს.

### შემოხაზეთ სწორი პასუხი.

რას ასახელებს თეონა?

- ა. ყვავილს      ბ. ბოსტნეულს      გ. ხილს



## კლასელები



თემური, თეონა, ომარი და ლალე კლასელები არიან. თემური და ომარი სულ ერთად წერენ და ანგარიშობენ. თეონა და ლალე ერთად ცეკვავენ და მღერავენ.

სკოლის შემდეგ თემური და ომარი ეზოში ბურთით თამაშობენ. თეონას და ლალეს კი სახლში თოჯინებით თამაში უყვართ.

თემურს და ომარს ლურჯი ჩანთები აქვთ, თეონას და ლალეს ჩანთები კი წითელია.

დილით ადრე კლასელები სკოლაში ერთად მიდიან. ოთხივეს ძალიან უყვარს ხატვა, წიგნების კითხვა და ბუნება.

### უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას აკეთებენ თემური და ომარი სკოლაში და სკოლის შემდეგ?
2. რას აკეთებენ თეონა და ლალე სკოლაში და სკოლის შემდეგ?
3. რა უყვართ მარტო თემურს და ომარს?
4. რა უყვართ მარტო თეონას და ლალეს?
5. რა უყვარს ოთხივეს?
6. როგორი ჩანთები აქვთ ბიჭებს და როგორი – გოგონებს?
7. ვინ როდის მიდის სკოლაში?



## ბიჭი და გოგო

ნანა დიდი გოგოა. არჩილი პატარა ბიჭია. ნანას ძალიან უყვარს მუსიკა, არჩილს კი ბურთით თამაში უყვარს.

ორშაბათს სამ საათზე ნანას მუსიკის გაკვეთილი აქვს. გაკვეთილზე ნანა უკრავს და მღერის.

სამშაბათს ხუთ საათზე არჩილი ფეხბურთს თამაშობს. ნანას უყვარს ფეხბურთის ყურება. ის არჩილის თამაშს უყურებს. არჩილი კი ნანას მუსიკას უსმენს.

არჩილი და ნანა ბიძაშვილები არიან.



### უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ არიან ნანა და არჩილი ერთმანეთისთვის?
2. როგორი გოგოა ნანა და როგორი ბიჭია არჩილი?
3. რა უყვარს ნანას და რა უყვარს არჩილს?
4. რაზე დადის ნანა და რაზე დადის არჩილი?
5. როდის რას აკეთებენ ისინი?

ტექსტები შედგენილია  
ნინო გორდელაძის მიერ

## გოგონა და სამი დათვი

(ზღაპარი)



აი, ამ ტყეში სამი დათვი ცხოვრობს - მამა დათვი, დედა დათვი და შვილი დათვი. მამა დათვი ძალიან დიდია, დედა დათვი არც ისე დიდი, შვილი დათვი კი პატარაა.

დათვებს პატარა და ლამაზი სახლი აქვთ. დათვების სახლს სამი ოთახი აქვს - სამზარეულო, საძინებელი და ერთი დიდი ოთახი.

ეს საძინებელია. აქ დათვებს სძინავთ. ეს დიდი საწოლი მამა დათვისაა, ეს პატარა საწოლი - პატარა დათვის, ეს საწოლი კი დედა დათვისაა.

ეს სამზარეულოა. მაგიდაზე სამი ჯამი დგას. ეს დიდი ჯამი მამა დათვისაა. ეს პატარა ჯამი - შვილი დათვის, ეს კი დედა დათვის ჯამია.

ეს დიდი ოთახია. დიდ ოთახში სამი სკამია. ეს დიდი სკამი მამა დათვისაა, ეს პატარა სკამი - შვილი დათვის, ეს კი დედა დათვის სკამია.





ერთხელ ერთი პატარა გოგონა ტყეში წავიდა. მიდის გოგონა ტყეში და თან ლამაზ ყვავილებს კრეფს. გოგონამ დათვების სახლი დაინახა.

– რა ლამაზი სახლია! - ამბობს გოგონა და სახლში შედის.  
დათვები სახლში არ არიან.

გოგონა სამზარეულოში შედის. ხედავს, მაგიდაზე სამი ჯამია - დიდი ჯამი, საშუალო და პატარა ჯამი. ჯამებში ფაფაა. გოგონამ შეჭამა სამივე ფაფა და დიდ ოთახში შევიდა. ხედავს, სამი სკამია - დიდი სკამი, საშუალო სკამი და პატარა სკამი. ჯერ დიდ სკამზე დაჯდა, მერე საშუალო სკამზე დაჯდა, ბოლოს პატარა სკამზე დაჯდა და... პატარა სკამი გატყდა.

გოგონა საძინებელ ოთახში შედის. ხედავს, სამი სანოლი დგას - დიდი, საშუალო და პატარა. გოგონა ჯერ დიდ სანოლზე დანვა, შემდეგ საშუალო სანოლზე დანვა. ბოლოს პატარა სანოლში ჩანვა და დაიძინა.

დათვები სახლში დაბრუნდნენ.

– სად არის ჩემი ფაფა? - ამბობს მამა დათვი.

– სად არის ჩემი ფაფა? - ამბობს დედა დათვი.

– ჩემი ფაფაც არ არის! — ამბობს პატარა დათვი.

– აქ ვილაც იყო! - ამბობს მამა დათვი.

– ვინ გატეხა ჩემი სკამი? - ტირის პატარა დათვი.

მამა დათვი, დედა დათვი და პატარა დათვი. საძინებელ ოთახში შევიდნენ.

– ვინ წევს ჩემს სანოლში? - ამბობს პატარა დათვი.

ხმაურზე გოგონამ გაიღვიძა და სახლში გაიქცა.



## თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე

თეთრი ბელი თავის მშობლებთან, თეთრ დათვებთან ერთად დედამიწის ყველაზე თეთრ კუნძულზე ცხოვრობდა. წელიწადის ნებისმიერ დროს ირგვლივ თოვლი იდო, ყინვა უჭერდა და ყველაფერს თეთრად გაუდიოდა ქათქათი. და საერთოდ, თეთრ ბელს სხვა ფერი არასოდეს ენახა, თუ ცისფერ ცას და ხანდახან გამოჩენილი მზის ოქროსფერ სხივს არ ჩავთვლით, რომელზეც თოვლი ისე ბრწყინავდა, რომ თვალის გასწორება დათვებსაც კი უჭირდათ.



ერთხელ ბელმა სიზმარი ნახა, საოცარი, ლამაზი, ფერადი სიზმარი, რომელშიც ხეები მწვანე იყო, ყვავილები წითელ-ყვითელი, ზღვა – ლურჯი და ყველაფერი ერთად – ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ ბელს მოსვენება დაეკარგა.



გალვიძებისთანავე მოუყვა მშობლებს თავისი სიზმრის შესახებ და სთხოვა, იმ ქვეყანაში წამიყვანეთ, სადაც ასეთი ფერებიანო. შენუხდნენ დედა და მამა დათვები – ჩვენი სახლი აქ არის და ვერსად ვერ წავალთ და არც ვიცით, არის თუ არა სადმე ასეთი ქვეყანაო.



დალონდა ბელი, ძალიან დალონდა, ატირდა. თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა, რომელიც მაშინვე ყინულის პატარა ნამცეცებად იქცა. უცებ სად იყო და სად არა, თოლია მოფრინდა.

– რად ტირი? – შეეკითხა თოლია ბელს.

– ფერად ქვეყანაში მინდა წასვლა, – უთხრა ბელმა.

– შენ საიდან იცი, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს? – გაოცდა თოლია.

– ვიცი, სიზმარში ვნახე. მეც მინდა ლამაზი ფერების ნახვა, – მოუმატა ტირილს ბელმა.

თოლიამ ამოიოხრა და სადღაც გაფრინდა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი და...

თოლია ისევ დაბრუნდა. ნისკარტით უცნაური კოლოფი მოიტანა. კოლოფში მრგვალი, ფერადი საღებავები და ფუნჯი ენყო. მისცა ბელს და უთხრა.

– აჰა, საღებავები და შენ თვითონ მოხატე შენი კუნძული.



გაიხარა ბელმა. აილო ფუნჯი და თოვლზე ყვავილები მიახატა. მერე მწვანე საღებავით ბალახიც დახატა, ბუჩქებიც, ლურჯით – პატარა რუ. მალე მთელი კუნძული გააფერადა. ირგვლივ ისეთი სილამაზე იყო, დათვები გაოცებას ვერ ფარავდნენ. გამხიარულდა, აჭრელდა შავ-თეთრი კუნძული. აქამდე თუ მონყენილობა სუფევდა, ახლა ყველა გამოცოცხლდა. ყველაზე მეტად კი ბელს უხაროდა და თავს ისე გრძნობდა, თითქოს თავის ლამაზ სიზმარში დაბრუნდაო.

*ირმა მალაცოძე*

### **ია ყინულებში**

ჩრდილოეთ პოლუსის ყინულოვან უდაბნოში ერთხელ დილაადრიან გაიღვიძა დიდმა თეთრმა დათვმა. თვალები გაახილა და ჰაერი მოყნოსა. დათვს უცხო სუნი ეცა. ხან მალლა აიშვირა დრუნჩი, ხან დაბლა.

– ეს რა სუნია? – გაუკვირდა დათვს. ამ დროს ბელებმა იქვე ლურჯთვალა ია იპოვნეს. პანანინა ია სიცივისაგან კანკალებდა.

– დედა, მამა! – დაიძახეს ბელებმა.

სალამოს იის ამბავი უკვე მთელმა პოლუსმა იცოდა. საიდან აღარ მოვიდნენ ამ იის

სანახავად. ციმბირიდან ირმებმა მოირბინეს, ამერიკიდან – ხარებმა, მოცურდნენ სელაპები და ზღვის ლომები. თეთრი მელიებიც მოცუნცულდნენ. მოფრინდნენ კაჭკაჭებიც. ყველას უკვირდა, აქ რა უნდა ამ ყვავილს, როგორ მოვიდაო. ყველას მოსწონდა იის სურნელი.

ბოლოს მოფრინდა ის თოლიაც, რომელიც სამხრეთში გააგზავნეს ამ ყვავილის ამბის გასაგებად. თოლიამ ცოტა დაისვენა და თქვა: - ამ ყვავილს ია ჰქვია, სამხრეთში იები ძალიან ბევრიაო.

– კი, ბატონი, ია ჰქვია, მაგრამ აქ რანაირად გაჩნდა? - არ ჩერდებოდა სელაპი.

მეორე დილით თოვლზე გაყინული ია ეგდო. ვერავინ გაიგო, როგორ გაჩნდა ყინულეთში ლურჯთვალა ია.

*ჯანი როდარი*

## თეთრი პეპლების ამბავი

დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ყველა პეპელა თეთრი იყო.

ერთხელ, კეთილი ფერია შუა მწვანე მინდორში დაჯდა და პეპლების გაფერადება დაიწყო.

საღებავიც ბლომად ჰქონდა და არც საქმე ეზარებოდა.

ზოგ პეპელას წითლად ღებავდა, ზოგს ყვითლად, ზოგს ცისფრად, ზოგს ჭრელა-ჭრულად!

ყოველი მხრიდან მოფრინავდნენ თეთრი პეპლები. ზოგი აფრიკიდან მოფრენილიყო, ზოგი ამერიკიდან, ზოგი ავსტრალიიდან... ისე ძალიან უნდოდათ პეპლებს გაფერადება, რომ არც ზღვების გადმოფრენა ეზარებოდათ და არც ოკეანეების! მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ!

იმდენი იყვნენ, მათი სითეთრისგან ლურჯი ცა აღარ მოჩანდა!

კეთილი ფერია იჯდა ხასხასა მოღზე და დაუზარლად აფერადებდა პეპლებს.

მაღე ფერად-ფერადი პეპლები აფარფატდნენ და არემარე ერთი-ორად გააღამაზეს!

– რა ლამაზები ვართ! – დააშრიალებდნენ წითელ ფრთებს წითელი პეპლები, – მფრინავ ყაყაჩოებს ვგავართ!

– ჩვენ კი მფრინავ პატარა მზეებს, – თავს იწონებდნენ ყვითელი პეპლები.

– ჩვენ?! ერთი ჩვენც შეგვხედეთ! განა რა სიღამაზე შეედრება ჩვენს ჭრელა-ჭრულა ფრთებს! – ნარნარად ფრენდნენ დიდრონი ჭრელი პეპლები.

კეთილი ფერია ცოტა არ იყოს, დაიღალა კიდეც, მაგრამ რა ექნა?! თეთრი პეპლები ქვეყნიერების ყველა მხრიდან მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ და გაფერადებას სთხოვდნენ. უარს ხომ არ ეტყოდა?

აფერადა და აფერადა ფერიამ პეპლები ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე და აბა გამოიცანი, რა მოხდა მეოთხე დღეს?

რა და, საღებავი გამოიღია!

შენუხდა კეთილი ფერია!

– არ ინაღვლოთ, – უთხრა გაუფერადებლად დარჩენილ თეთრ პეპლებს, – ახლავე ფერადი საღებავების პლანეტაზე გავფრინდები, საღებავებს მოვიტან და გაგაფერადებთ!

ასეც მოიქცა. ფრრრ! – ფერადი საღებავების პლანეტაზე გაფრინდა, მაგრამ ჯერაც არ დაბრუნებულა! ეტყობა, ის პლანეტა ძალიან შორსაა. ვინ იცის, იქნებ ხვალაც კი ჩამოფრინდეს!

მის დაბრუნებამდე კი თეთრი პეპლები თეთრ პეპლებად დარჩებიან. მე თუ მკითხავ, ძალიანაც ლამაზები არიან! მოფარფატე თეთრ შროშნებს ჰგვანან! ან სულაც, თოვლის ქათქათა ფიფქებს!

თამარ ფხაკაძე



## დედა წერტილი და შვილი წერტილი

იყო ერთი ფანქარი. ამ ფანქარს ძალიან უყვარდა ხაზების, რკალებისა და ხვეულების ხატვა. ერთხელ თქვა:


– ახლა წერტილებს დავხატავ. მან დახატა ერთი დიდი წერტილი და ერთიც პატარა წერტილი. წერტილები გამხიარულდნენ და ახმაურდნენ.



– რა კარგია, ჩვენ წერტილები ვართ!

– თაბაც ყველაზე მრგვალი და ყველაზე ლამაზი წერტილები.

– აქ რა ხდება, რა ხმაურია? – გაბრაზდა ფანქარი. – შენ აქ იყავი, – თქვა გაბრაზებულმა ფანქარმა და დედა წერტილს წრე შემოავლო, თვითონ კი ზღაპრის წერა დაიწყო. დაწერა ერთი წინადადება, მეორე, მესამე... მერე შეკითხვა გაუჩნდა და ერთ ხვეულას პატარა შვილი წერტილი მიუსკუპა ქვეშ.




როგორც იქნა, დაამთავრა წერა და ამ დროს წვერი მოსტყდა. ფანქარ-  
მა ტირილი დაიწყო.

– ნუ ტირიხარ! – უთხრა საშლელმა ფანქარს. მე წრის ნაწილს წავშლი,  
დიდი წერტილი გამოვა და შენი ზღაპრის ბოლოში დასკუპდება.

– რა კარგია! – ტაში შემოჰკრა ფანქარმა.

მართლაც, საშლელმა წრის ნაწილი წაშალა. იქიდან გამოვიდა გახა-  
რებული დიდი დედა წერტილი და ზღაპრის ბოლოში დასკუპდა.



დონალდ ბისეტი

### ერთი პატარა ლაქა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თმაგაჩეჩილი, თხუპნია ბიჭი. არც პირს იბანდა, არც ხელებს.  
ტანსაცმელს ხომ ნუ იკითხავთ, ზედათასნაირი ლაქები ეცხო: ფლომასტერისო, კარაქისო, ნაყინისო,  
მანქანის ზეთისო, თქვენ წარმოიდგინეთ, ბენზინისაც კი!

თხუპნია ბიჭი დღითი-დღე უფრო ითხუპნებოდა და ბოლოს იმდენი ლაქა დაუგროვდა  
ტანსაცმელზე, რომ ერთი პატარა ლაქა შარვლის ტოტზე ვეღარ დაეტია და იატაკზე მოადინა  
ზღართანი.

ბევრი იხტუნა პატარა ლაქამ და ასე ხტუნვა- ხტუნვით ქალაქის ყველაზე დიდ პარკში ამოჰყო  
თავი.



გაზაფხულის მშვენიერი, თბილი დღე იდგა და პარკი ბავშვებით იყო სავსე:ზოგი სილაში თამაშობდა, ზოგი კარუსელზე ტრიალებდა, ზოგი ერთმანეთს დასდევდა...

პატარა ლაქა შადრევანთან დაყრილ კენჭებზე ჩამოჯდა.

სწორედ ამ დროს შადრევანთან ერთი ბიჭი მივიდა და ლაქას გვერდით მიუჯდა. მერე ჩანტიდან სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები ამოიღო და ხატვა დაიწყო.

პატარა ლაქა ახტა და სახატავ ფურცლებში ჩაიმალა.

ბიჭმა დახატა ცხენი და ნახატი ჩანთაში შეინახა, მერე დახატა შადრევანი და ეს ნახატიც შეინახა. მერე წითელი მანქანა, მერე მეზობლის ძაღლი, რომელიც ძალიან უყვარდა, მერე ახალი ფურცელი აიღო და გაოცდა, ფურცელზე უცნაური ფორმის ლაქა დასკუპებულიყო.



ბიჭმა ფანქარი აიღო და ლაქას შავი ფანქარი შემოავლო, მერე ზედ წითელი ფანქრით ვაშლი დაახატა; მერე ყვითელი ფანქრით მსხალი; მერე მწვანე ფანქრით მინდორი; მერე ყავისფერი ფანქრით დახატა ხეები, ვარდისფერითა და იისფერით პატარა ყვავილები...

ბიჭს მოეწონა თავისი ნახატი და დედას აჩუქა.

*ლელა ცუცქერიძე*



## იცი, როგორია ზამთარი?

სულ თეთრია, თეთრი წვერი აქვს და თეთრი ტანსაცმელი აცვია. ზამთარი ცაში ცხოვრობს, ერთ დიდ, თეთრ და ცივ სახლში. სახლში ერთი უზარმაზარი სკივრია. მთელი წელი აგროვებს წვიმის წვეთებს და ამ სკივრში ინახავს. ზამთარს ერთი პატარა ძმა ჰყავს. მის ძმას ყინვა ჰქვია. ყინვას ძალიან უყვარს გართობა და თამაში. ჩუმად გახსნის ზამთრის სკივრს, ჩახტება წვიმის წვეთებთან და ეთამაშება. წვიმის წვეთები სიცივისაგან კანკალებენ და იყინებიან.

მოვა ზამთარი, გახსნის ჩანთას და და რას ხედავს?! წვიმის წვეთების ნაცვლად ჩანთა სულ თეთრი ფიფქებით არის სავსე. - უჰ, უჰ, უჰ, - გაბრაზებით ამბობს ზამთარი და თავისი დიდი თეთრი ხელებით ფიფქებს დაბლა ყრის.



ემშვებიან ფიფქები მინაზე და ათეთრებენ იქაურობას. ზოგი ხის ტოტებზე ზის, ზოგი სახლების სახურავებზე...

ყინვა ახლა ბელურებთან მირბის სათამაშოდ. ბელურებს არ უყვართ ყინვასთან თამაში. დაინახავენ თუ არა, მოიბუზებიან და იმალებიან.

ლამით ყინვა იღებს თავის ჯადოსნურ თეთრ ფანქარს და ფანჯრის მინებზე უცნაურ სურათებს ხატავს. იცი, რას ხატავს ყინვა? - ყინულის ბაღს, თეთრ ყვავილებსა და დათოვლილ ხეებს...

## თეთრი დათვი და მურა დათვი

ერთხელ თეთრი დათვი უზარმაზარ ყინულზე წამოგორდა და დაიწყო ფიქრი. ხან პინგვინებზე იფიქრა, ხან ზღვის ლომებზე, ხან რაზე და ხან რაზე, მაგრამ ბოლოს აი რა მოიფიქრა:

- მომბებრდა აქ! აქეთ ყინული! იქით ყინული! აქეთ პინგვინი! იქით პინგვინი! საჭმელიც, - სულ თევზი და თევზი! წავალ, უკეთეს ადგილს მოვძებნი! დედამინა დიდია, ადგილების მეტი რა არის?! ასეც მოიქცა. წამოიზღაზნა და გაუდგა გზას.

სწორედ ამ დროს, ერთ თბილ ქვეყანაში მურა დათვი უღრანი ტყის პირას, ხასხასა მოლზე წამოგორებულყო და ფიქრობდა.

- უჰ! მომბეზრდა! აქეთ ტყე, იქით ტყე! აქეთ შინდი! იქით პანტა! ყოველდღე თაფლი და თაფლი! ფულუროებში ძრომიალი და ფუტკრებისგან დაკბენა! მომენყინა! დედამინა დიდია! ადგილების მეტი რა არის! წავალ და უკეთეს სამყოფელს მოვძებნი!

ბევრი აღარ უფიქრია, გაუდგა ბაჯბაჯით გზას.

იარა თეთრმა დათვმა. ბევრი იარა.

იარა მურა დათვმა. ბევრი იარა.

შუა გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ.

- ჰეი, ძმობილო! საით გაგინევია? - დასძახა თეთრმა დათვმა.

- მომენყინა. სხვა ადგილი უნდა ვნახო! - უპასუხა მურამ - შენ საით მიდიხარ, ძმობილო?

- მეც მომენყინა, - მიუგო თეთრმა დათვმა, - წავალ, უკეთეს ადგილს ვნახავ. ადგილების მეტი რა არის!

იარა მურა დათვმა და ჩავიდა ყინულოვან ქვეყანაში. მიიხედა, მოიხედა, - მოენონა. ხან პინგვინს გაეკიდა, ხან ზღვის ლომს გაეთამაშა, მაგრამ ყველა გაურბოდა. მურა დათვი არასდროს ენახათ და შეეშინდათ.

სულ მარტო დარჩა მურა. სიცვიისგან კანკალი დაიწყო. მერე, მოშივდა კიდეც. თვალეებში სულ შინდი, პანტა და თაფლი ელანდებოდა, მაგრამ ყინულების მეტი არაფერი იყო! ყინულებს ხომ არ შეჭამდა?

დაჰკრა ფეხი და წამოძუნძულდა უკან, თავის მხარეში.

იარა თეთრმა დათვმა, იარა და მიადგა უღრან ტყეს. მიიხედა, მოიხედა - მოენონა. მზე ჩახჩახებდა. ირგვლივ კი ყინულის ნატამალი არ იყო! ხან კურდღელს გაეთამაშა, ხან ზღარბს, მაგრამ ყველა გაურბოდა. თეთრი დათვი არასდროს ენახათ და შეეშინდათ.

სულ მარტო დარჩა თეთრი დათვი. საშინლად დასცხა. მერე, მოშივდა კიდეც. თვალეებში სულ ყინულივით ცივი და სლიკინა თევზი ელანდებოდა! მაგრამ ხეების მეტი არაფერი იყო! ხეები კი, შენც კარგად იცი, თევზებს არ ისხამენ!

დაჰკრა ფეხი თეთრმა დათვმაც და წაძუნძულდა უკან, თავის მხარეში.

შუა გზაზე ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

- საით გარბიხარ, ძმობილო? - გასძახა მურამ.

- საით და ჩემი ყინულები მომენატრა! — უპასუხა თეთრმა დათვმა - შენ საით გარბიხარ ასე კისრისტეხით, ძმობილო?

- საით და, მეც ჩემი უღრანი ტყე მომენატრა! - მიუგო მურამ.

დაემშვიდობნენ ერთმანეთს და განაგრძეს გზა.

თამარ ფხაკაძე

## ძუნნი და ოქრო

ერთმა კაცმა დიდძალი ოქრო მინაში დამარხა. ყოველდღე მიდიოდა ეს კაცი იმ ადგილას და ამონებდა. შეამჩნია სხვა კაცმა ეს და დაინტერესდა, ნეტავ, რა აქვს, ასე ხშირად რომ მიდის და ნახულობსო. გადანყვიტა, მისულიყო და ამოეთხარა. მართლაც, მივიდა ერთ ღამეს, ამოთხარა ოქრო და წაიღო. მის ნაცვლად კი, მინაში ლოდი ჩამარხა.



ერთ დღესაც მოუნდა კაცს თავისი ოქროს ნახვა. მივიდა, ამოთხარა მინა და რას ხე-დავს – ოქროს ნაცვლად ლოდი დევს მინაში. დაინყო კაცმა ტირილი. მივიდა მასთან ოქროს მომპარავი და ტირილის მიზეზი ჰკითხა.

– ოქროს დახარჯვა მენანებოდა და მინაში დავმარხე. ვილაცას გაუგია, მოუპარავს და მის ნაცვლად ლოდი დაუმარხავს! – უპასუხა ოქროს პატრონმა.

– ვაი, შენს თავს! რისთვის ტირი? მაგ მინაში ოქრო იდებოდა თუ ქვა, რა მნიშვნელობა აქვს, თუკი არ დახარჯავ! – მიუგო ქურდმა.

### უპასუხე შეკითხვებს.

- ა. რატომ დაფლა კაცმა ოქრო მინაში?
  1. მოპარული ჰქონდა და მალავდა;
  2. იქ ინახავდა დროებით;
  3. ენანებოდა მისი დახარჯვა.
- ბ. რატომ ტირის კაცი?
  1. დაავინწყდა, სად დამარხა ოქრო;
  2. ოქრო მოპარული დახვდა;
  3. არ იცის, როგორ გამოიყენოს ეს ოქრო.

## გოგონა — ღამე რომ შეუყვარდა

(რევაზ ინანიშვილის მიხედვით)

ისიც ჩვეულებრივი პატარა გოგონა იყო, გამხდარი და აქეთ-იქით გაპრეხილნაწნავებიანი. ამ გოგონას დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა და ყველაფერს სხვანაირად ხედავდა.

აი, მაგალითად, როცა ჩვენ ბაღში მივდივართ, ვხედავთ, რომ ხე ან უძრავად დგას, ან მის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიანებს, ან ყვავის. ის გოგონა კი ხედავდა, რომ ხის ფოთლებს ნიავი კი არ აშრიანებს, უღიტინებს და ფოთლებიც ხტიან და ხითხითებენ. ის ხედავდა, რომ ხე უბრალოდ კი არ ყვავის, ყოველი კვირტი პატარა ბავშვივით იღვიძებს, თვალებს იფშენებს, იზმორება და — ტკაც! — იცინის.

ერთ ზაფხულს ეს გოგონა დედამ და მამამ დასასვენებლად აგარაკზე წაიყვანეს. ჩასხდნენ მატარებელში, იარეს, იარეს; მერე ავტობუსში ჩასხდნენ. ისევ იარეს, იარეს და, ბოლოს, მივიდნენ. პატარა ღამაში ხის სახლი ერთ ტყეში, ნაძვების ხის ქვეშ იდგა.

დგას გოგონა აივანზე და დიდი ცისფერი თვალებით ვარსკვლავებიან ცას უყურებს. უცებ ცას ერთი ვარსკვლავი მოსწყდა და სულ ახლოს, შავი ნაძვების იქით გაუჩინარდა. გოგონა იმ ნაძვებისაკენ გაიქცა. ვარსკვლავი აქ თუ არა, აი, იმ ბუჩქის უკან იქნება; იქ თუ არა, იმ ბუჩქის უკან, - ფიქრობს გოგონა. ბოლოს დაიღალა და გაჩერდა. ვარსკვლავი არსად იყო. მარტო შავი ხეები და ბუჩქები იყო ირგვლივ. გოგონას თვალები ცრემლებით აევსო.

- ნუ ტირი, პატარა ღამაზო გოგონავ, - უთხრა ღამემ, - შენ იმ ვარსკვლავს ვერ იპოვი. იმ ვარსკვლავს ვერავინ იპოვის. ის შორს, ზღვაში ჩავარდა. იქ უზარმაზარმა თევზმა დაიჭირა და უკვე თავის შვილებთან მიაქვს. ნუ ტირი, ნახე, რამდენი ღამაში რამეა შენს ირგვლივ!

გოგონამ თავი ასწია და თვალები გაუბრწყინდა.

გოგონამ უზარმაზარი ყვითელი მთვარე დაინახა. იქვე მხიარული ციყვები დახტოდნენ. უცებ ციყვებმა გოგონა დაინახეს და გაოცებულები ერთ ტოტზე გამწკრივდნენ. გოგონა ციყვებს მიესალმა. გახარებულმა ციყვებმა თავები დაუქნიეს გოგონას და ხტუნვა და თამაში განაგრძეს. უცებ ციციანათელები მოფრინდნენ და გოგონას ნაწნავებზე დასხდნენ.

ღამეს მოსწონს თავისი საქციელი და იღიმის.

- ახლა წინ წადი, აი, იქით! — უთხრა ღამემ გოგონას. წავიდა გოგონა და პატარა ტბასთან მივიდა. ტბა ვარსკვლავებითა და ოქროს თევზებით იყო სავსე. თევზები წყლიდან ხტებოდნენ და გოგონას გაოცებული უყურებდნენ. უცებ, სად იყო და სად არა, ტბასთან ირემი გაჩნდა. ირემს ოქროს რქები ჰქონდა. გოგონა ახლოს მივიდა ირემთან, შუბლზე ხელი ჩამოუსვა და ღამაზ თვალებში აკოცა. მერე კისერზე ხელი შემოხვია და მიეხუტა. ციციანათელები ახლა ირემის რქებში დაფარფატებდნენ.

უცებ ადამიანების ხმა გაისმა.

- ადამიანები მოდიან, უნდა წავიდე! — უთხრა ირემმა გოგონას და გაიქცა.

- ჩვენც უნდა დავიმალოთ! — თქვეს ციციანათელებმა და გაფრინდნენ.

- თეა! თეა! — გაისმა ახლოდან.

- აქ ვარ! — თქვა გოგონამ და ბუჩქებიდან გავიდა. ბალახებზე დიდი წვეთები ეყარა. ეს წვეთები ღამის ცრემლები იყო.

- მე მიყვარხარ შენ, ღამევ! — თქვა გოგონამ ჩუმად. დიდი ცისფერი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

# მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფცია

## პირველი თემა (ანბანი)

### track 1.

თ / ვ

თოვლი მღერის,  
თოვლი ცეკვავს,  
თოვლი მოდის,  
თოვს.

ბ

ბილიკ-ბილიკ ბურტყუნებს  
ბრიყვი ბელი - ბელუკა:  
- ბანით ვჯობნი ბულბულებს,  
ბეჭებით კი - ბერმუხას.

ზ / რ

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,  
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

მ

მელამ მოგაგნო მამალო,  
მურას მოუხმე მალეო!

### track 2.

გ

გუგუ - გუგუ! - გუგულმა  
გულჭრელათა გვარისამ,  
გამარჯობა გვისურვა,  
გული გაგვიხალისა.

ფ

ფრთაფოფინა ფარშავანგი  
ფანტავს ფერად ფერებსაო,  
ფრინველეთის დედოფლობას  
ფრიად შეიფერებსაო.



ბ

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს,  
აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.

**track 3.**

ტ

ტატას ბატი ფარფატა  
ტალახ-ტალახ ტანტალეებს.

შ

შარიშურა შინდიანში  
შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი

ქ

ქრის, ქრის, ქრის  
ქარი სექტემბრის.

**track 4.**

ჩ

ჩირიმ-ჩირიმ-ჩირიმ,  
ჩამიჩი და ჩირი.  
წკირიმ-წკარუნ-წკარე,  
ვანკრიალებთ ზარებს...

ჩიკი-ჩიკი- ჩხიკი-ჩხაკ,  
პაპა ჩორკნის ჩიჩილაკს,  
რაკ-რაკ, ტაკ-ტუკ, რაკი-რაკ,  
\_ ბებო რას ჭრის? \_ გოზინაყს....

ძ

ძეძვის ძირს მიძინებულმა  
ძლივს გაიღვიძა ენძელამ.

ყ

აყიყინდნენ ბაყაყები,  
- გადაყლაპავს ბაყბაყდები!

ჯ

ჯანსულმა და ჯმუხმა ჯარჯიმ  
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,  
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს  
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

## track 5.

ჟ  
ჟოლოს ჟვერიდან  
ჟინჟელი ჟონავს,  
ჟანგისფერ ჟირაფს  
შეაჟრჟოლა.

ჭ  
ჭინჭრებს შუა ჭივჭავები  
ჭანჭურს ჭამენ ჭიანჭამს,  
ჭრიჭინები გაჭყეპილან,  
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

ღ  
ღობის თავზე ვეღარ ვხედავ  
ღუღღუღელა ღოდნაშოსა.

წ  
წვიმიანში განწნილი  
წისკვილის წინ წუხს წინილი,  
- წია, წია! - მწარედ წივის,  
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

## track 6.

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, იძახის  
და კედელზე კიდია,  
დღე და ღამე ისრები  
მიდიან და მიდიან.

## მეორე თემა (გაცნობა)

## track 7.

- არის გამხდარი.
- რა ფერის თმა აქვს?
- აქვს შავი თმა. კიდევ აქვს პატარა ცხვირი.
- გოგოა?
- არა, ბიჭია.

### track 8.

ლექსი:

მზე დედაა ჩემი,  
მთვარე - მამაჩემი,  
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები  
და და ძმია ჩემი.

### track 9.

სიმღერა:

მზე დედაა ჩემი,  
მთვარე - მამაჩემი,  
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები  
და და ძმია ჩემი.

## მესამე თემა (ჩვენი სახლი)

### track 10.

- არის ულვაშიანი. აქვს გრძელი კუდი.
- ვეშაპია?
- არა, შინაური ცხოველია. უყვარს რძე.
- კატაა.
- სწორია. კატას აქვს გრძელი კუდი და ულვაში.

### track 11.

ფიფქია ქოხში შევიდა. იქ ყველა ნივთი პატარა იყო: შვიდი პატარა სკამი, შვიდი პატარა თეფში და კოვზი, პატარა მაგიდა...

- აქ ალბათ ბავშვები ცხოვრობენ, - იფიქრა ფიფქიამ და საძინებელ ოთახში შევიდა.
- ოო, ნამდვილად ბავშვები ცხოვრობენ, რა პატარა საწოლებია?!

## მეოთხე თემა (სკოლაში)

### track 13.

- ის არის მაგიდაზე და არის დიდი.
- მანქანაა?
- არ არის მანქანა. სასკოლო ნივთია.
- წიგნია?
- კი, ის არის წიგნი.

**track 14.**

- როდის გაქვს მათემატიკა?
- ორშაბათს.
- რომელ საათზე გაქვს?
- ათ საათზე.

**track 15.**

პირველი დიალოგი:

- რას აკეთებ?
- ვმღერი, შენ?
- მე ვკითხულობ.

მეორე დიალოგი:

- შენ რას აკეთებ?
- მე ვანგარიშობ, შენ?
- მე ვწერ.

**მეხუთე თემა (ქალაქში)**

**track 16.**

მეორე დიალოგი:

- აქ რატომ დგახარ?
- იქით მინდა გადასვლა და...
- მერე აქ არის გადასასვლელი?
- არ ვიცი, სად არის გადასასვლელი...
- წამოდი, გაჩვენებ. აი, შუქნიშანს ხედავ?

მესამე დიალოგი:

- გამარჯობა! ექვსი ნომერი ავტობუსი აქ ჩერდება?
- კი, აქ ჩერდება. ზუსტად ახლა წავიდა ექვსი ნომერი.

მეხუთე დიალოგი:

- კიდევ შორს არის ჩვენი გაჩერება?
- არა, აი, მოვედით უკვე.

**track 17.**

- მოდი, მაღაზიოზანა ვითამაშოთ.
- კარგი, მე გამყიდველი ვიქნები.
- არა, მე ვიქნები გამყიდველი, შენ მყიდველი იყავი.
- კარგი. ფორთოხლის წვენი გაქვთ?
- არა, ვაშლის წვენი გვაქვს.
- რა ღირს?
- 1 ლარი და 50 თეთრი.
- ორი წვენი მომეცით.
- ინებეთ.
- მადლობთ.

## ქართულ-თურქული თემატური ლექსიკონი

ადამიანები / ოჯახი / ნათესავები	
ბაბუა (ბაბუ-ის; ბაბუ-ები)	dede
ბავშვი (ბავშვ-ის; ბავშვ-ები)	çocuk
ბებია (ბები-ის; ბები-ები)	büyükanne
ბიჭი (ბიჭ-ის; ბიჭ-ები)	oğlan
ბიძა (ბიძ-ის; ბიძ-ები)	amca
ბიძაშვილი (ბიძაშვილ-ის; ბიძაშვილ-ები)	amca oğlu
გოგონა (// გოგო; გოგონა-სი // გოგო-სი; გოგონ-ები // გოგო-ები)	kız
და (დ-ის; დ-ები)	kız kardeş
დედა (დედ-ის; დედ-ები)	anne
დეიდა (დეიდ-ის; დეიდ-ები)	teyze
დეიდაშვილი (დეიდაშვილ-ის; დეიდაშვილ-ები)	kuzen
კაცი (კაც-ის; კაც-ები)	erkek
მამა (მამ-ის; მამ-ები)	baba
მამიდა (მამიდ-ის; მამიდ-ები)	hala
მამიდაშვილი (მამიდაშვილ-ის; მამიდაშვილ-ები)	kuzen, kuzin
მეგობარი (მეგობრ-ის; მეგობრ-ები)	arkadaş
მშობელი (მშობლ-ის; მშობლ-ები)	ebeveyn
ნათესავი (ნათესავ-ის; ნათესავ-ები)	akraba
ოჯახი (ოჯახ-ის; ოჯახ-ები)	aile
ქალი (ქალ-ის; ქალ-ები)	kadın
შვილი (შვილ-ის; შვილ-ები)	çocuk
ძმა (ძმ-ის; ძმ-ები)	kardeş
ადამიანის სხეულის ნაწილები	
თავი (თავ-ის; თავ-ები)	baş, kafa
თითი (თით-ის; თით-ები)	parmak
თმა (თმ-ის; თმ-ები)	saç
თვალი (თვალ-ის; თვალ-ები)	göz
ლოყა (ლოყ-ის; ლოყ-ები)	yanak
ნიკაპი (ნიკაპ-ის; ნიკაპ-ები)	çene
პირი (პირ-ის)	ağız
ტანი (ტან-ის)	gövde
ულვაში (ულვაშ-ის; ულვაშ-ები)	bıyık
ფეხი (ფეხ-ის; ფეხ-ები)	bacak
შუბლი (შუბლ-ის; შუბლ-ები)	alın
ცხვირი (ცხვირ-ის; ცხვირ-ები)	burun
წვერი (წვერ-ის; წვერ-ები)	sakal
ხელი (ხელ-ის; ხელ-ები)	el

სახლი / ინტერიერი / ავეჯი	
აივანი (აივნ-ის; აივნ-ები)	balkon
ბინა (ბინ-ის; ბინ-ები)	ev
კარი (//კარები; კარ-ის // კარებ-ის; კარებ-ები)	kapı
კედელი (კედლ-ის; კედლ-ები)	duvar
კიბე (კიბ-ის; კიბე-ები)	merdiven
ოთახი (ოთახ-ის; ოთახ-ები)	oda
სართული (სართულ-ის; სართულ-ები)	kat
სახლი (სახლ-ის; სახლ-ები)	ev
სახურავი (სახურავ-ის; სახურავ-ები)	çatı
ფანჯარა (ფანჯრ-ის; ფანჯრ-ები)	pencere
შესასვლელი (შესასვლელ-ის; შესასვლელ-ები)	giriş
მისაღები (მისაღებ-ის)	<i>oturma odası</i>
სააბაზანო (სააბაზანო-სი; სააბაზანო-ები)	banyo
სამზარეულო (სამზარეულო-სი; სამზარეულო-ები)	mutfak, yemek pişirilen yer
სასტუმრო ოთახი	misafir odası
საძინებელი (საძინებლ-ის; საძინებლ-ები)	yatak odası
აბაზანა (აბაზან-ის; აბაზან-ები)	banyo
ავეჯი (ავეჯ-ის)	mobilya
გაზქურა (გაზქურ-ის; გაზქურ-ები)	soba
თარო (თარო-სი; თარო-ები)	kitaplık
კარადა (კარად-ის; კარად-ები)	dolap
მაცივარი (მაცივრ-ის; მაცივრ-ები)	buzdolabı
მაგიდა (მაგიდ-ის; მაგიდ-ები)	masa
სავარძელი (სავარძლ-ის; სავარძლ-ები)	koltuk
სარკე (სარკ-ის; სარკე-ები)	ayna
სანოლი (სანოლ-ის; სანოლ-ები)	yatak
სკამი (სკამ-ის; სკამ-ები)	sandalye
ტახტი (ტახტ-ის; ტახტ-ები)	taht
ბალიში (ბალიშ-ის; ბალიშ-ები)	yastık
პირსაბანი (პირსაბნ-ის; პირსაბნ-ები)	lavabo
პირსახოცი (პირსახოც-ის; პირსახოც-ები)	havlu
საბანი (საბნ-ის; საბნ-ები)	battaniye
ფარდა (ფარდ-ის; ფარდ-ები)	perde

საოჯახო ნივთები / ტექნიკა / სათამაშო	
აკვარიუმი (აკვარიუმ-ის; აკვარიუმ-ები)	akvaryum
ბურთი (ბურთ-ის; ბურთ-ები)	top
გალია (გალი-ის; გალი-ები)	kafes
დანა (დან-ის; დან-ები)	bıçak
კბილის ჯაგრისი (ჯაგრის-ის; ჯაგრის-ები)	diş fırçası
კომპიუტერი (კომპიუტერ-ის; კომპიუტერ-ები)	bilgisayar
მაკრატელი (მაკრატლ-ის; მაკრატლ-ები)	makas
სათამაშო (სათამაშო-სი; სათამაშო-ები)	oyuncaklar
სათვალე (სათვალ-ის; სათვალე-ები)	gözlük
სავარცხელი (სავარცხლ-ის; სავარცხლ-ები)	tarak
სურათი (სურათ-ის; სურათ-ები)	fotoğraf
ტელევიზორი (ტელევიზორ-ის; ტელევიზორ-ები)	televizyon
უთო (უთო-სი; უთო-ები)	ütü
ჩაიდანი (ჩაიდნ-ის; ჩაიდნ-ები)	çaydanlık

ტანსაცმელი / ფეხსაცმელი	
ბოტასი (ბოტას-ის; ბოტას-ები)	spor ayakkabı
თავსაფარი (თავსაფრ-ის; თავსაფრ-ები)	başörtüsü
კაბა (კაბ-ის; კაბ-ები)	elbise
კაშნე (კაშნე-სი)	eşarp
მაისური (მაისურ-ის; მაისურ-ები)	tişört
პერანგი (პერანგ-ის; პერანგ-ები)	gömlek
ჟაკეტი (ჟაკეტ-ის; ჟაკეტ-ები)	ceket
ქამარი (ქამრ-ის; ქამრ-ები)	kemer
ქუდი (ქუდ-ის; ქუდ-ები)	şapka
ქურთუკი (ქურთუკ-ის; ქურთუკ-ები)	ceket
შარვალი (შარვლ-ის; შარვლ-ები)	pantolon
ჩექმა (ჩექმ-ის; ჩექმ-ები)	çizme
ხელთათმანი (ხელთათმან-ის; ხელთათმანები)	eldiven
ჯემპრი (ჯემპრ-ის; ჯემპრ-ები)	kazak



სკოლა / სკოლის ნივთები	
გაკვეთილი (გაკვეთილ-ის; გაკვეთილ-ები)	ders
კლასი (კლას-ის; კლას-ები)	sınıf
მასწავლებელი (მასწავლებლ-ის; მასწავლებლ-ები)	öğretmen
მოსწავლე (მოსწავლ-ის; მოსწავლე-ები)	öğrenci
სკოლა (სკოლ-ის; სკოლ-ები)	okul
გაკვეთილების ცხრილი (ცხრილ-ის)	ders cetveli
გლობუსი (გლობუს-ის; გლობუს-ები)	küre
დაფა (დაფ-ის; დაფ-ები)	tahta
კალამი (კალმ-ის; კალმ-ები)	Kalem
მერხი (მერხ-ის; მერხ-ები)	masa
რვეული (რვეულ-ის; რვეულ-ები)	defter
საშლელი (საშლელ-ის; საშლელ-ები)	silgi
სახატავი რვეული	resim albümü
სახაზავი (სახაზავ-ის; სახაზავ-ები)	çizgeç
ფერადი ფანქრები (ფერადი ფანქრებ-ის)	renkli kalem
ჩანთა (ჩანთ-ის; ჩანთ-ები)	çanta
ცარცი (ცარც-ის; ცარც-ები)	tebeşir
წიგნი (წიგნ-ის; წიგნ-ები)	kitap
ბუნება (ბუნებ-ის)	doğa
ინფორმატიკა (ინფორმატიკ-ის)	bilgişim
ისტორია (ისტორი-ის)	tarih
მათემატიკა (მათემატიკ-ის)	matematik
სიმღერა (სიმღერ-ის; სიმღერ-ები)	şarkı
სპორტი (სპორტ-ის)	spor
ხატვა (ხატვ-ის)	çizmek

მალაზია	Mağaza
აქსესუარი (აქსესუარ-ის; აქსესუარ-ები)	aksesuar
ზოომალაზია (ზოომალაზი-ის; ზოომალაზი-ები)	evcil hayvan mağazası
საჩუქარი (საჩუქრ-ის; საჩუქრ-ები)	hediye
საოჯახო ტექნიკა (ტექნიკ-ის)	ev aletleri
საყოფაცხოვრებო საქონელი (საყოფაცხოვრებო საქონლ-ის)	ev eşyaları
გამყიდველი (გამყიდველ-ის; გამყიდველ-ები)	satıcı
მყიდველი (მყიდველ-ის; მყიდველ-ები)	alıcı

საჭმელი / სასმელი; ხილი / ბოსტნეული	
საუზმე (საუზმ-ის) სადილი (სადილ-ის) ვახშამი (ვახშმ-ის)	kahvaltı öğle yemeği akşam yemeği
მოხარშული შემწვარი	pişirilmiş kızartılmış
ერბოკვერცხი (ერბოკვერცხ-ის) კარაქი (კარაქ-ის) ზეთისხილი (ზეთისხილ-ის) თაფლი (თაფლ-ის)	kızartılmış yumurta tereyağı zeytin bal
კვერცხი (კვერცხ-ის; კვერცხ-ები) ლობიო (ლობიო-ს; ლობიო-ები) მურაბა (მურაბ-ის; მურაბ-ები) ნამცხვარი (ნამცხვრ-ის; ნამცხვრ-ები) ნაყინი (ნაყინ-ის; ნაყინ-ები) პური (პურ-ის; პურ-ები) რძე (რძ-ის)	yumurta fasulye reçel pasta dondurma ekmek süt
სიმინდი (სიმინდ-ის; სიმინდ-ები) სოსისი (სოსის-ის; სოსის-ები) ღვეზელი (ღვეზლ-ის; ღვეზლ-ები) ყველი (ყველ-ის) ძეხვი (ძეხვ-ის; ძეხვ-ები) წვენი (წვენ-ის; წვენ-ები) წვნიანი (წვნიან-ის; წვნიან-ები) წყალი (წყლ-ის)	mısır sisis börek peynir sucuk meyve suyu çorba su
ხაჭაპური (ხაჭაპურ-ის; ხაჭაპურ-ები) ხორცი (ხორცი-ის)	haçapuri et
ბადრიჯანი (ბადრიჯნ-ის; ბადრიჯნ-ები) ბანანი (ბანან-ის; ბანან-ები) გოგრა (გოგრ-ის; გოგრ-ები) ვაშლი (ვაშლ-ის; ვაშლ-ები) კიტრი (კიტრ-ის; კიტრ-ები) კომბოსტო (კომბოსტო-სი; კომბოსტო-ები) მსხალი (მსხლ-ის; მსხლ-ები)	patlıcan muz kabak elma salatalık lahana armut

საჭმელი / სასმელი; ხილი / ბოსტნეული	
<p>პომიდორი (პომიდვრ-ის; პომიდვრ-ები)  საზამთრო (საზამთრო-სი; საზამთრო-ები)  ფორთოხალი (ფორთოხლ-ის; ფორთოხლ-ები)  ყურძენი (ყურძნ-ის; ყურძნ-ები)</p>	<p>domates  karpuz  portakal  üzüm</p>
<p>დანა (დან-ის; დან-ები)  თეფში (თეფშ-ის; თეფშ-ები)  კოვზი (კოვზ-ის; კოვზ-ები)  ჩანგალი (ჩანგლ-ის; ჩანგლ-ები)  ჭიქა (ჭიქ-ის; ჭიქ-ები)  ჭურჭელი (ჭურჭლ-ის)  ჯამი (ჯამ-ის; ჯამ-ები)</p>	<p>bıçak  tabak  kaşık  çatal  bardak  sofra takımı  tabak</p>

ქუჩა / ტრანსპორტი	
<p>გაჩერება (გაჩერებ-ის; გაჩერებ-ები)</p> <p>გადასასვლელი (გადასასვლელ-ის; გადასასვლელ-ები)</p> <p>გადატვირთული მოძრაობა (... მოძრაობ-ის)</p> <p>გზა (გზ-ის; გზ-ები)</p> <p>მოედანი (მოედნ-ის; მოედნ-ები)</p> <p>რკინიგზა (რკინიგზ-ის; რკინიგზ-ები)</p> <p>ტროტუარი (ტროტუარ-ის; ტროტუარ-ები)</p> <p>უბანი (უბნ-ის; უბნ-ები)</p> <p>ქალაქი (ქალაქ-ის; ქალაქ-ები)</p> <p>შადრევანი (შადრევნ-ის; შადრევნ-ები)</p> <p>შუქნიშანი (შუქნიშნ-ის; შუქნიშნ-ები)</p>	<p>durak</p> <p>geçit</p> <p>trafik</p> <p>yol</p> <p>oyun alanı</p> <p>demiryolu</p> <p>kaldırım</p> <p>mahalle</p> <p>şehir</p> <p>çeşme</p> <p>trafik ışıkları</p>
<p>ავტობუსი (ავტობუს-ის; ავტობუს-ები)</p> <p>ავტომობილი (ავტომობილ-ის; ავტომობილ-ები)</p> <p>ბორანი (ბორნ-ის; ბორნ-ები)</p> <p>გემი (გემ-ის; გემ-ები)</p> <p>ველოსიპედი (ველოსიპედ-ის; ველოსიპედ-ები)</p> <p>თვითმფრინავი (თვითმფრინავ-ის; თვითმფრინავ-ები)</p> <p>კატერი (კატერ-ის; კატერ-ები)</p> <p>მანქანა (მანქან-ის; მანქან-ები)</p> <p>მატარებელი (მატარებლ-ის; მატარებლ-ები)</p> <p>მეტრო (მეტრო-სი)</p> <p>მოტოციკლეტი (მოტოციკლეთ-ის; მოტოციკლეთ-ები)</p> <p>ნავი (ნავ-ის; ნავ-ები)</p> <p>ტრამვაი (ტრამვაი-სა; ტრამვა-ები)</p>	<p>otobüs</p> <p>araba</p> <p>vapur</p> <p>gemi</p> <p>bisiklet</p> <p>düzlem</p> <p>tekne</p> <p>makine</p> <p>tren</p> <p>metro</p> <p>motosiklet</p> <p>tekne</p> <p>tramvay</p>
<p>საგზაო ტრანსპორტი</p> <p>საჰაერო ტრანსპორტი</p> <p>სარკინიგზო ტრანსპორტი</p> <p>წყლის ტრანსპორტი</p>	<p>karayolu taşımacılığı</p> <p>hava taşımacılığı</p> <p>demiryolu taşımacılığı</p> <p>su taşımacılığı</p>

გარემო / ბუნება	
ბაღი (ბაღ-ის; ბაღ-ები)	bahçe
ეზო (ეზო-სი; ეზო-ები)	avlu
ვარდი (ვარდ-ის; ვარდ-ები)	gül
ვარსკვლავი (ვარსკვლავ-ის; ვარსკვლავ-ები)	yıldız
ია (ი-ის; ი-ები)	menekşe
იასამანი (იასამნ-ის; იასამნ-ები)	leylak
კაქტუსი (კაქტუს-ის; კაქტუს-ები)	kaktüs
მთვარე (მთვარ-ის)	ay
მზე (მზ-ის)	güneş
სოფელი (სოფლ-ის)	köy
სოკო (სოკო-სი; სოკო-ები)	mantar
ყაყაჩო (ყაყაჩო-სი; ყაყაჩო-ები)	gelincik
ყვავილი (ყვავილ-ის; ყვავილ-ები)	çiçek
ცა (ც-ის)	gök
ხე (ხ-ის; ხე-ები)	ağaç

ცხოველები / ფრინველები	
ბუ (ბუ-სი; ბუ-ები)	baykuş
დათვი (დათვ-ის; დათვ-ები)	ayı
ვეშაპი (ვეშაპ-ის; ვეშაპ-ები)	balina
თაგვი (თაგვ-ის; თაგვ-ები)	fare
თევზი (თევზ-ის; თევზ-ები)	balık
კატა (კატ-ის; კატ-ები)	kedı
კუ (კუ-სი; კუ-ები)	kaplumbağa
კუდი (კუდ-ის; კუდ-ები)	kuyruk
მაიმუნი (მაიმუნ-ის; მაიმუნ-ები)	maymun
ფრინველი (ფრინველ-ის; ფრინველ-ები)	kuş
ქათამი (ქათმ-ის; ქათმ-ები)	tavuk
ყვავი (ყვავ-ის; ყვავ-ები)	karga
ჩიტა (ჩიტ-ის; ჩიტ-ები)	kuş
ცხოველი (ცხოველ-ის; ცხოველ-ები)	hayvan
ძაღლი (ძაღლ-ის; ძაღლ-ები)	köpek
ძროხა (ძროხ-ის; ძროხ-ები)	inek

დრო / დღეები	
საათი (საათ-ის; საათ-ები)	saat
დილა (დილ-ის)	sabah
დილით	sabahleyin
დღე (დღ-ის; დღე-ები)	gün
შუადღე (შუადღ-ის)	öğlen
შუადღისას	öğleyin, öğlen vakti
სალამო (სალამო-ს; სალამო-ები)	akşam
სალამოს	akşamleyin, akşam vakti
ლამე (ლამ-ის; ლამე-ები)	gece
ლამით	geceleyin
შუალამე (შუალამ-ის)	gece yarısı
შუალამისას	gece yarısı
ორშაბათი (ორშაბათ-ის)	pazartesi
სამშაბათი (სამშაბათ-ის)	salı
ოთხშაბათი (ოთხშაბათ-ის)	çarşamba
ხუთშაბათი (ხუთშაბათ-ის)	perşembe
პარასკევი (პარასკევი-ის)	cuma
შაბათი (შაბათ-ის)	cumartesi
კვირა (კვირ-ის)	pazar

ფერები	
ვარდისფერი (ვარდისფრ-ის; ვარდისფრ-ები)	pembe
თეთრი (თეთრ-ის; თეთრ-ები)	beyaz
იასამნისფერი (იასამნისფრ-ის; იასამნისფრ-ები)	leylak rengi
იისფერი (იისფრ-ის; იისფრ-ები)	mor
ლურჯი (ლურჯ-ის; ლურჯ-ები)	lacivert
მწვანე (მწვან-ის; მწვანე-ები)	yeşil
ნარინჯისფერი (ნარინჯისფრ-ის; ნარინჯისფრ-ები)	turuncu
ყავისფერი (ყავისფრ-ის; ყავისფრ-ები)	kahverengi
ყვითელი (ყვითლ-ის; ყვითლ-ები)	sarı
შავი (შავ-ის; შავ-ები)	siyah
ცისფერი (ცისფრ-ის; ცისფრ-ები)	mavi
წითელი (წითლ-ის; წითლ-ები)	kırmızı

ზედსართავები	
ახალგაზრდა (ახალგაზრდ-ის; ახალგაზრდ-ები)	genç
ახალი (ახლ-ის; ახლ-ები)	yeni
გამხდარი (გამხდრ-ის; გამხდრ-ები)	ince
გრძელი (გრძელ-ისა; გრძელ-ები)	uzun
დიდი (დიდ-ის; დიდ-ები)	büyük
ვინრო (ვინრო-სი; ვინრო-ები)	dar
მოკლე (მოკლე-სი; მოკლე-ები)	kısa
მოხუცი (მოხუც-ის; მოხუც-ები)	yaşlı bir adam / ihtiyar
მრგვალი (მრგვალ-ის; მრგვალ-ები)	yuvarlak
მსუქანი (მსუქნ-ის; მსუქნ-ები)	şişman
პატარა (პატარ-ის; პატარ-ები)	küçük
ფართო (ფართო-სი; ფართო-ები)	geniş
ძველი (ძველ-ის; ძველ-ები)	eski

ძირითადი ზმნები	
აინტერესებს	merak ediyor
აკეთებს	yapıyor
ამოდის	çıkıyor
ამზადებს	hazırlıyor
ანათებს (მზე)	parlıyor (aydınlatıyor) güneş
ბანაობს	yıkıyor
იბანს	duş alıyor, yıkıyor
დადის (სიარული)	geziyor (gezme)
დაიბადა	doğdu
დარბის	koşuyor
დგას	duruyor
დგება	kalkıyor
დროს ატარებს	zaman geçiriyor
ზის (ჯდომა)	oturuyor
თამაშობს	oynuyor
თბილა	sıcak
თევზაობს	balık tutuyor
იწყება	başlıyor
იყიდება	satılıyor
კითხულობს	okuyor
კიდია	asmak
კრეფს	topluyor
ლაპარაკობს	konuşuyor

ძირითადი ზმნები

მიდის	gidiyor
მოაქვს	getiriyor
მოდის	geliyor
მოსწონს	beğeniyor
მღერის	şarkı söylüyor
მუშაობს	çalışıyor
სეირნობს	geziyor
სრიალებს	kayıyor
სვამს	içiyor
სწავლობს	öğreniyor
უკეთია	takmak
უკრავს	çalıyor (enstruman)
უსმენს	dinliyor
უყურებს	bakıyor, izliyor
უყვარს	seviyor
ქონება	malvarlığı (აქვს - var)
ყიდულობს	satın alıyor
ყიდის	satıyor
ყოლა	sahip olmak (ჰყავს - var)
ყოფნა	olmak (არის-var /იყო-vardı /იქნება-olacak)
ცეკვავს	dans ediyor, oynuyor
ცურავს / ცურაობს	yüzüyor
ცხოვრობს	yaşiyor, oturuyor
წერს	yazıyor
წევს	yatmış
წვიმს	yağmur yağıyor
ჭამს	iyor
ხატავს	resim çiziyor
ჯდება	oturmak üzere



1. დილა მშვიდობისა! – Günaydın!
2. საღამო მშვიდობისა! – İyi akşamlar!
3. ღამე მშვიდობისა! – İyi geceler!
4. გამარჯობა! – Merhaba!
5. სალამი! – Selam!
6. ნახვამდის! – Görüşmek üzere!
7. კარგად იყავი! – Hoşçakal!
8. ვინ არის ეს (ის)? – Bu kimdir (o)?
9. რა არის ეს (ის)? – Bu nedir (o)?
10. გაიცანი, ეს არის ჩემი ... ! – Tanış, bu benim .....dir
11. მე მქვია ... – Benim adım ....'dir.
12. მას ... ჰქვია. – Onun adı ... 'dir.
13. როგორ ხარ? – კარგად. – Nasılsın? - İyiyim
14. რამდენი წლის ხარ? – Kaç yaşındasın?
15. სადაური ხარ? – თბილისელი, სტამბოლელი – Nerelisin? - Tiflisliyim, İstanbulluyum.
16. სად ცხოვრობ? – Nerede oturuyorsun?
17. ესენი ჩემი ოჯახის წევრები არიან. – Bunlar benim ailemin üyeleridir.
18. რომელ სართულზე ცხოვრობ? – Kaçıncı katta oturuyorsun?
19. რომელი საათია? – Saat kaç?
20. რომელ საათზე ...? – Saat kaçta?
21. დღის რვა საათია. – Sabah saat *sekizdir*
22. დღის რვა საათზე ... – Sabah saat *sekizde...*
23. დღის ორი საათია. – Saat öğlenin ikisi
24. დღის ორ საათზე ... – Öğlen saat ikide
25. საღამოს რვის ნახევარია. – *Akşam yedi buçuktur*
26. საღამოს რვის ნახევარზე ... – *Akşam yedi buçukta*
27. ღამის ათის ნახევარია. – Gece saat dokuz *buçuktur*
28. ღამის ათის ნახევარზე... – Gece saat dokuz *buçukta*
29. რა დღეა დღეს? – Bugün günlerden ne?
30. რა რიცხვია? – Bugün ayın kaçı?
31. რომელია უფრო სწრაფი? – Hangisi daha hızlı?
32. რომელია ყველაზე სწრაფი? – Hangisi en hızlı?
33. ტრამვაი ავტობუსზე (უფრო) სწრაფია. – Tramvay otobüsten (daha) hızlı.
34. თვითმფრინავი ყველაზე სწრაფი ტრანსპორტია. – Uçak hepsinden hızlı.
35. ფორთოხლის წვენი გაქვთ? – Portakal suyu var mı?
36. რა ღირს ვაშლი? – Elmanın fiyatı ne kadar?
37. ორი ბანანი მომეცით! – İki tane muz verin!
38. ინებეთ! – Buyurun!
39. გმადლობთ! – Teşekkür ederim!

## ზმნური ლექსიკონი

### ვინიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O ის (მას)
ბანაობა	ვბანაობ/ბანაობს (1)
გაკეთება	ვაკეთებ/აკეთებს (2)
სეირნობა	ვსეირნობ/სეირნობს (1)
გატარება	ვატარებ/ატარებს (2)
გაღვიძება	ვიღვიძებ/იღვიძებს (1)
დაბანა	ვიბან/იბანს (2)
დადგმა	ვდგამ/დგამს (2)
დადება	ვდებ/დებს (2)
დაკვრა	ვუკრავ/უკრავს (2)
დაძინება	ვიძინებ/იძინებს (1)
დანერა	ვწერ/წერს (2)
ვახშობა	ვვახშობ/ვახშობს (1)
თამაში	ვთამაშობ/თამაშობს (2)
თევზაობა	ვთევზაობ/თევზაობს (1)
მოკრეფა	ვკრეფ/კრეფს (2)
მომზადება	ვამზადებ/ამზადებს (2)
მოსმენა	ვუსმენ/უსმენს (2)
დახატვა	ვხატავ/ხატავს (2)
მუშაობა	ვმუშაობ/მუშაობს (1)
სადილობა	ვსადილობ/სადილობს (1)
საუზმობა	ვსაუზმობ/საუზმობს (1)
სირბილი	დავრბივარ/დარბის (1)
ყურება	ვუყურებ/უყურებს (2)
სწავლა	ვსწავლობ/სწავლობს (2)
შეჭმა	ვჭამ/ჭამს (2)
ცეკვა	ვცეკვავ/ცეკვავს (1)
ცურვა	ვცურავ/ცურავს (1)
ცხოვრება	ვცხოვრობ/ცხოვრობს (1)
წაკითხვა	ვკითხულობ/კითხულობს (2)

საწყისი	S ის
ადგომა დანოლა ნოლა წყობა ღება	ვდგები/დგება ვწვები/წვება ვწევარ/წევს ანყვია ღევს

**მანიანი ზმნები:**

საწყისი	ახლანდელი დრო S O მას (ის)
სიყვარული დაინტერესება რქმევა ქონა ყოლა გაკეთება ჩაცმა დახურვა ძილი	მიყვარს/უყვარს (2) მაინტერესებს/აინტერესებს (2) მქვია/ჰქვია (2) მაქვს/აქვს (2) მყავს/ჰყავს (2) მიკეთია/უკეთია (2) მაცვია/აცვია (2) მახურავს/ახურავს (2) მძინავს/სძინავს (1)

**თავისებური ზმნები:**

საწყისი	წარსულში S ის	ახლანდელი დრო S ის	მომავალში S ის
ყოფნა წასვლა გადასვლა მოსვლა ჯდომა დგომა სიარული	ვიყავი/იყო (ის)	ვარ/არის მივდივარ/მიდის გადავდივარ/გადადის მოვდივარ/მოდის ვზივარ/ზის ვდგავარ/დგას დავდივარ/დადის	ვიქნები/იქნება (ის)

